პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980
წელი
ოთხშაბათი
19
მარტი
№ 65
(17708)
□
ფასი
2 კაპ.

ლენინური შაბათობა გვიხმობს!

თბილისი

საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივმა საზეიმო ვითარებაში გადასცა „მეათე ხუთწლედის დამკვრელის“ საპატიო ნიშნები მქარავებს თ. გიგაურს, დ. სლანოვას, ე. სტეპანენკოს, ე. გულუმჯიანს, ე. მურადოვას, ქ. კელაპტრიშვილს და ბევრ სხვა მუშას, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალებანი.

გ. დორეულის ბრიგადის გამომჭრელებმა, რომლებმაც უკვე დაიწყეს მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობა, ვალდებულება იკისრეს 1981 წლის გეგმა სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური შაბათობის დღეს შეასრულონ. ბრიგადის თაოსნობას ფართოდ დაუჭირეს მხარი საწარმოში. ბევრმა მუშამ დადო პირობა 19 აპრილისათვის შეასრულოს ოთხი თვის დავალება, ამ დღეს მიაღწიოს უმაღლეს შრომის ნაყოფიერებას, შეინარჩუნოს და კიდევ უფრო გაზარდოს მიღწეული შრომითი რიტმი.

„წითელი შაბათობის“ დღეს საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივი გამოუშვებს 4 ათასი მანეთის პროდუქციას, მეათე ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს 2.400 მანეთს. (საქინფორმი).

ბათუმი

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემების ეკიპაჟებმა, რომლებიც ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან, წარმატებით დაამთავრეს ხუთწლედის მეოთხე წელი. ტვირთზიდვის წლიური გეგმა შესრულდა 104,6 პროცენტით ხოლო ტვირთის გადამუშავების დავალება — 101,6 პროცენტით, დაიზოგა 9540 ტონა სათბობი.

შეჯამდა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. შარშანდელი მეოთხე კვარტლის მონაცემებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს პირველი ფულადი პრემია და გარდამავალი ვიმპელი მადანმზიდმა „ნიკო ნიკოლაძემ“ დაიმსახურა, მეორე ადგილი კი ტანკერ „ხერსონის“ ეკიპაჟს ხვდა წილად.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს გემების „დავით გურამიშვილისა“ და „ქუთაისის“ ეკიპაჟებმა. მეორე ადგილი „გენერალ ბაგრატიონის“, „ფორე მოსულიშვილისა“ და „მხატვარ გაბაშვილის“ ეკიპაჟებმა გაიყვეს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალციხე

ქალაქის № 2665 ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ათასამდე მუშაკმა გადაწყვიტა „წითელ შაბათობაში“ მონაწილეობა. ვარაუდობენ ამ დღეს გადაზიდონ 500 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაიყვანონ 29 ათასი მგზავრი, შეასრულონ 150 ათასი ტონა-კილომეტრი და 335 ათასი მგზავრ-კილომეტრი. თავის მხრივ, მსუბუქი ავტომანქანების მძღოლებმა იკისრეს შეასრულონ 9 ათასი კილომეტრი ფასიანი გარბენი, გამომუშავებული 2030 მანეთი გადარიცხონ ხუთწლედის ფონდში.

გაერთიანების ავტომძღოლები ა. ტაბატაძე, მ. კირაკოსიანი, ო. ევსტაფიევი, დ. ინასარიძე, პ. ბაღდასარიანი, ა. მუტაფიანი, რომლებმაც კარგა ხანია შეასრულეს მეათე ხუთწლედის პირადი გეგმა-დავალებები, ახლა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხაშური

მინის ქარხნის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან ლენინური შაბათობისათვის. შაბათობის მომწყობ შტაბში საბოლოოდ დაზუსტდა ღონისძიებათა გეგმა, თუ ვინ სად იშრომებს და რას გააკეთებს, როგორი იქნება თითოეულის წვლილი თავისუფალი შრომის ზეიმის ორგანიზებულად მოწყობაში.

19 აპრილს, ლენინური შაბათობის დღეს, ქარხანაში 25 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ. ეს იქნება 420 ათასი ცალი ბოთლი და მილიონ-ნახევარი ცალი ლითონ-პლასტმასის სახუფავი. დაზოგილი ნედლეულისა და მასალების მომჭირნედ ხარჯვის გზით გამოუშვებენ 55 ათას ცალ ნახევარლიტრიან ბოთლს.

ხუთწლედის ფონდში 550 მანეთი გადაირიცხება.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეცხოველეობისათვის საკვები კულტურების ნათესებისათვის გამოყოფილი მიწების საგაზაფხულო ხვნას შეუდგნენ თერჯოლის სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის გაერთიანების მექანიზატორები.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს თერჯოლელმა საკვებწარმოებლებმა და მეცხოველეებმა მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის.

სურათზე: საკვები კულტურების მინდვრების საგაზაფხულო ხვნა თერჯოლის სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის გაერთიანებაში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი

ახალ ეტაპზე

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების სტიმულირების გადიდების მიზნით ჩვენს ქვეყანაში 1967 წელს შემოღებული იყო პროდუქციის ხარისხიანობის ატესტაციის სახელმწიფო სისტემა. ამ სისტემის განვითარების მეორე ეტაპი მოიცავდა 1969-1971 წლებს — როცა სავალდებულო ატესტაციას გადიოდა მარტო დიდმნიშვნელოვან სახეობათა პროდუქცია, რომლის შედეგების მიხედვითაც მას ენიჭებოდა ხარისხის უმაღლესი კატეგორია. 1971-1974 წლები — მესამე ეტაპი გულისხმობდა პროდუქციის ატესტაციის ფორმების სრულყოფას, ერთიანი სისტემის დანერგვას, რომელიც ითვალისწინებდა ხარისხის გაყოფას სამ კატეგორიად — უმაღლეს, პირველ და მეორე კატეგორიებად.

მეოთხე ეტაპის დასაწყისად ითვლება 1974 წელი, როცა ძალაში შევიდა მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგების პროდუქციის ატესტაციის ძირითადი დებულება, რომელიც დღემდე მოქმედებს.

როგორც სამეურნეო მექანიზმის ელემენტი, პროდუქციის ხარისხის ატესტაციის სისტემა განუწყვეტლივ იხვეწება და ახლა მიმდინარეობს განვითარების მეხუთე ეტაპი. ამ ეტაპს ახასიათებს ის, რომ საწარმოები და ორგანიზაციები ატესტაციისათვის ამა თუ იმ პროდუქციის მომზადებისას ახორციელებენ მისი ტექნიკური დონის ამაღლების, წარმოების ტექნოლოგიის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სრულყოფის, პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების სტაბილურობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს და ა. შ. საწარმო ახორციელებს ამ სამუშაოთა კომპლექსს და განსაზღვრავს ხარისხის რა კატეგორიის (უმაღლესი, პირველი, მეორე) მისანიჭებლად უნდა წარუდგინოს პროდუქცია საატესტაციო კომისიას, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება ბრძანებით სამინისტროსადმი, უწყებისადმი.

კომისია იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ პროდუქციას ხარისხის უმაღლესი და პირველი კატეგორიები მიენიჭოს შემდეგი ვადით: საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციას — სამ წლამდე, სახალხო მოხმარების საქონელს — ორ წლამდე ვადით. დადგენილია საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების რთული პროდუქციის საპატიო ხუთკუთხედის მოქმედების ახალი ვადა — ხუთი წელი. პროდუქციისათვის ხარისხის მეორე კატეგორიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედების ვადას განსაზღვრავს სამინისტრო, უწყება, და, როგორც წესი, იგი არ აღემატება ექვს თვეს.

პროდუქციის ატესტაციაში სიახლეა ისიც, რომ ყველა სამინისტრო და უწყება ვალდებულია მუდამ ადგენდეს საატესტაციოდ გათვალისწინებული პროდუქციის ნუსხას. ნუსხა შეთანხმებული უნდა იყოს სახსტანდარტთან, სამშენთან (შესაბამისი ნომენკლატურის მიხედვით), ვაჭრობის სამინისტროსთან (სახალხო მოხმარების საქონლის მიხედვით) და სახმომარაგებასთან (ამ კომიტეტის მიერ გასანაწილებელი პროდუქციის მიხედვით), არის უფლება, რომ აღნიშნული ნუსხის ნაცვლად შედგეს იმ პროდუქციის ნუსხა, რომელიც არ ექვემდებარება ატესტაციას. ასეთი დოკუმენტის შექმნა ნათელს ჰფენს საკითხს, თუ რომელი პროდუქცია ექვემდებარება ატესტაციას და რომელი არა.

ჩვენს რესპუბლიკაში მთელი იმ პროდუქციის ხვედრითმა წონამ, რომელიც ატესტაციას არ ექვემდებარება, 1978 წელს შეადგინა 49,7 პროცენტი, 1979 წელს — 49,2 პროცენტი. იმ პროდუქციის მაჩვენებელი, რომელიც უატესტაციოდ დარჩა, მაგრამ ატესტაციას ექვემდებარება, 1978 წლის 3,6 პროცენტიდან შემცირდა 2,2 პროცენტამდე 1979 წელს.

ახლად ათვისებული პროდუქციის ატესტაცია უნდა მოხდეს მისი სერიული გამოშვების დაწყებიდან სულ ბევრი ერთ წელიწადში, ხოლო განსაკუთრებული სირთულის პროდუქციისა — სულ ბევრი ორ წელიწადში. აღნიშნულ ვადებში ატესტაციამდე ასეთი პროდუქცია აღირიცხება როგორც ისეთი, რომელიც არ ექვემდებარება ატესტაციას. საჭიროდაა მიჩნეული, რომ ხარისხის უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნოს პროდუქცია, რომელიც ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებლებით სჯობს საუკეთესო საბჭოურ და საზღვარგარეთულ მიღწევებს ან შეესაბამება მათ, განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან გადიდებას, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვასა და კონკურენტუნარიანია საგარეო ბაზარზე.

1975 წელთან შედარებით ხარისხის სახელმწიფონიშნიანი მთელი პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკაში თითქმის რვაჯერ გაიზარდა. 593 საწარმო არ უშვებს ხარისხისნიშნიან პროდუქციას, მაგრამ აქედან 188 საწარმოს პროდუქცია ექვემდებარება ატესტაციას. ასეთ პროდუქციას არ უშვებენ ასპინძის, აბაშის, დმანისის, ჩოხატაურის — სულ 11 რაიონის საწარმოები.

სიახლეა ის, რომ საწარმოების, ორგანიზაციებისა და რეგიონების საქმიანობის შედარებისას ხარისხის სახელმწიფონიშნიანი პროდუქციის მაჩვენებლების მიხედვით მხედველობაში იღებენ ატესტაციას დაქვემდებარებული პროდუქციის მხოლოდ მოცულობას. ამ წესით თითოეული რაიონი თანაბარ პირობებში აღმოჩნდება შედეგების შეჯამებისას. საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ახალი მაღალეფექტიანი პროდუქციის საბითუმო ფასების მიმართ გამოიყენება წამახალისებელი დანამატები ერთიდან ორ წლამდე მოქმედების ვადით, ხოლო ასეთი ნაწარმისათვის საპატიო ხუთკუთხედის მინიჭების გათვალისწინებით — ოთხიდან ხუთ წლამდე. საბითუმო ფასების დანამატის სიდიდე შეიძლება 1,5-ჯერ გაიზარდოს.

თუ საწარმო არ იცავს ხარისხისნიშნიანი პროდუქციისადმი მოთხოვნებს, მას ერთმევა უფლება გამოიყენოს ეს ნიშანი ამ პროდუქციისადმი. მას უმცირდება საბითუმო ფასების წამახალისებელი დანამატები.

ხარისხის მეორე კატეგორიის სამრეწველო პროდუქციას განეკუთვნება ის პროდუქცია, რომელიც მაჩვენებლების მიხედვით არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, მორალურად მოძველდა და მოდერნიზაციას საჭიროებს ან წარმოებიდან უნდა მოიხსნას. ასეთი პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკაში 1978 წელს შეადგენდა 0,3 პროცენტს, ხოლო 1979 წელს — 0,2 პროცენტს.

მეორე კატეგორიის პროდუქციის, აგრეთვე იმ პროდუქციის მიხედვით, რომლის ატესტაცია არ მოხდა დადგენილ ვადებში, გამოიყენება საბითუმო ფასების ჩამოკლება ამ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგების 50 პროცენტის ოდენობით. ამასთან პროდუქციის რეალიზაცია ხდება ჩამოკლებული ფასებით, ხოლო ჩამოკლებული თანხა ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ერთ-ერთი პირობა, რომელიც განსაზღვრავს უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში დამზადებული პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, არის საწარმოების პარტიული ორგანიზაციების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებსა და უწყებებში არსებული ეფექტიანობისა და ხარისხის კომისიების მიზანმიმართული, ორგანიზაციული მუშაობა. რესპუბლიკის თითქმის ორას საწარმოში უკვე მოქმედებს პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები, ხოლო ქვეყანაში მათი რიცხვი ხუთიათასს უდრის.

თბილისსა და ქუთაისში მიმდინარეობს მართვის კომპლექსური სისტემების ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება, თუ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომისიები შეუდგებიან თავიანთ რეგიონებში ხარისხის მართვის სისტემების შემუშავებას, და ამასთან გაითვალისწინებენ, რომ მიმდინარე წლის დამლევს ეს სისტემები დაინერგება რესპუბლიკის მეტ წილ საწარმოებში, რეალური ბაზა შეიქმნება ხარისხის მართვის რესპუბლიკური სისტემის შექმნისათვის. ეს კი, უთუოდ ხელს შეუწყობს ხარისხის სახელმწიფონიშნიანი პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

მ. გეგეშიძე,
სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ეს დღეები სოფლად

მანქანები მინდვრად გავიდნენ

ალაყაფის კარი გაიღო და „საქსოფლტექნიკის“ ცხაკაიას რაიონული გაერთიანების სახელოსნოს კარმიდამოდან ნოსირის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა გ. ოდიშარიამ ტრაქტორი გამოიყვანა, მანქანის კარგი შეკეთებისათვის მერემონტეებს მადლობა გადაუხადა, საჭეს მიუჯდა და ნოსირის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებისაკენ გასწია, სადაც სიმინდისა და სოიის დასათესად ნიადაგის მომზადებას უნდა შესდგომოდა...

არ გასულა ორი საათი, და ახლა სახელოსნოში შეკეთებული ტრაქტორი მექანიზატორმა გ. გოგიჩაიშვილმა აამუშავა, და ტრიფოლიატის სათესად გაეშურა... ასე გეგმიანად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მძლავრი ტექნიკის შეკეთება. ნოსირის საბჭოთა მეურნეობას გადაწყვეტილი ჰქონდა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის 10 მარტისათვის შეეკეთებინა 7 ტრაქტორი და 10 გუთანი. ეს დავალება ვადაზე 10 დღით ადრე შეასრულეს. ახლა მეურნეობაში კარგად იყენებენ გაზაფხულის ხელსაყრელ ამინდებს და სიმინდისა და სოიის დასათესად ნიადაგის მომზადების ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ.

მეურნეობაში წელს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოიას. გათვალისწინებულია იგი 60 ჰექტარზე დათესონ. მეურნეობაში ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ეს დავალება შეასრულონ. მოიმარაგეს საჭიროზე მეტი სოიის კონდიციური თესლი, ნიადაგი ძირითადად უკვე მომზადებულია სათესად, ბლომად აქვთ სასუქებიც.

შ. ჟოჟუა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მწერალ გ. ს. ჩიქოვანის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის დარგში გაწეული ღვაწლისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი გრიგოლ სამსონის ძე **ჩიქოვანი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 17 მარტი.

ახალგაზრდა კადრებთან მუშაობა—პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი

წლითიწლობით სულ უფრო იზრდება საქართველოს კომკავშირელთა და ახალგაზრდათა როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ეს ახალგაზრდა თაობისათვის — თავისი საბრძოლო რეზერვისა და საიმედო თანაშემწისათვის რესპუბლიკის კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მამობრივი ზრუნვის, კომკავშირული კადრებისა და აქტივის შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობის განუხრელი სრულყოფის შედეგია, უკანასკნელი ექვსი-შვიდი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი თვისებრივი შემადგენლობა, კომკავშირულ სამუშაოზე უფრო მეტ ახალგაზრდა კომუნისტს, სახალხო მეურნეობის სპეციალისტს, აქტივისტს აწინაურებენ, რომლებმაც კარგი შრომითი წრთობა მიიღეს.

კომკავშირულ და პიონერულ მუშაკთა და აქტივისტთა სწავლების ერთიანი სისტემის მოგვარებაში სერიოზული ღონისძიებანი განაპირობა კომკავშირული და პიონერული კადრებისა და აქტივის მომზადებისა და გადამზადების რესპუბლიკური ცენტრის შექმნამ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში. და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ აქ გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი, რომელმაც განიხილა „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივების მიხედვით კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტების ამოცანები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ქ. ქ. შარტავამ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. გ. ფილია, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, ჯ. ვ. მარგველიძე, თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნე ა. ი. ქევხიშვილი, საქართველოს ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ა. ადეიშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის თანაშემწე ზ. გ. ძნელაძე, საქართველოს ალკკ ჯავის რაიკომის პირველი მდივანი ფ. ი. კოჩიევა, ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს ამბულატორიის ექიმი ნ. ბ. უზნაძე, საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. გ. აბესაძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. ვ. მემანიშვილი, საქართველოს ალკკ ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ს. ბ. სტეფანიანი, კომკავშირული და პიონერული კადრებისა და აქტივის მომზადებისა და გადამზადების რესპუბლიკური ცენტრის დირექტორი მ. რ. ჭანტურია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. ი. ალავერდაშვილი, საქართველოს ალკკ გარდაბნის რაიკომის კომკავშირულ ორგანიზაციათა განყოფილების გამგე ს. რ. იუსუპოვა, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ტ. რიგვავა, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი მ. თ. ფოცხიშვილი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა კადრების მომზადებასა და სახალხო მეურნეობისათვის რაციონალურ გამოყენებაში კომკავშირულ ორგანიზაციათა მონაწილეობის საკითხებს, ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის მთელი სისტემის სრულყოფის პრობლემებს. აღინიშნა წარმატებანი მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში, რისთვისაც რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაცია ზედიზედ მეოთხედ დაჯილდოვდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

დარბაზში საზეიმოდ შემოიტანეს გარდამავალი წითელი დროშა.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმატებების ფონზე კიდევ უფრო შეუწყნარებელი ხდება არსებული ნაკლოვანებანი, ხარვეზები ახალგაზრდა კადრების მომზადებაში, აღზრდაში, სახალხო მეურნეობაში განაწილებასა და დამკვიდრებაში.

ამასთან დაკავშირებით მწვავედ გააკრიტიკეს მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში ახალგაზრდობის შრომით მოწყობასა და დამკვიდრებას. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ კომკავშირის კომიტეტები ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ მუშაობის ისეთ კარგ ფორმებს, როგორიც არის დამრიგებლობა, პროფესიული ოსტატობის კონკურსები, საკმარისად არ ზრუნავენ ახალგაზრდობის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, ცალკეულ სამრეწველო და სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში დიდია შრომისა და საწარმოო დისციპლინის დამრღვევთა, საშუალოსანთა, ჩამორჩენილთა რიცხვი, ახალგაზრდა მუშათა და სპეციალისტთა დენადობა. კომკავშირის კომიტეტებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ქალიშვილებისა და ჭაბუკების სწორ ორიენტაციას, იმისათვის, რომ ისინი დაეუფლონ მასობრივ მუშურ პროფესიებს, მთლიანად ვერ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს საშუალო და უმაღლესი რგოლის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კადრების მომზადებაში, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის.

განსაზღვრა რა კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ღირსეული ცვლის მომზადების საქმეში, პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმის საჭიროებას, რომ სკოლის მერხიდანვე უნდა უნერგავდნენ ახალგაზრდობას მისწრაფებას მასობრივი მუშურ პროფესიების დაუფლებისადმი. ამ მიზნით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული გზები. ამავე დროს, კომკავშირის კომიტეტებისაგან პლენუმმა მოითხოვა, რომ გადაჭრით გააძლიერონ ყურადღება მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადებისადმი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ ისინი უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფაში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, საბაზო საწარმოებთან კავშირის გაძლიერებაში.

პლენუმზე სერიოზული ყურადღება დაეთმო საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში კადრების მომზადებას. კომკავშირის კომიტეტების ამოცანა განისაზღვრა კონკრეტულად: უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა არა მარტო მომზადებაში, არამედ მათ განაწილებასა და რაციონალურ გამოყენებაში, ახალგაზრდა სპეციალისტთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებაში. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო აქტიურად, მიზანდასახულად სრულდებოდეს რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრების მოთხოვნები და მითითებები.

საქმიანად, პრინციპულად განიხილა პლენუმმა ახალგაზრდა სამეცნიერო-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის აღზრდაში კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლების საკითხები. პლენუმმა დასვა ამოცანა ყოველმხრივ განავითარონ და გააღრმავონ საინტერესო ტენდენციები, რომლებიც დაისახა უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით.

პლენუმმა ყოველმხრივ გააანალიზა კომკავშირის კომიტეტების მუშაობა კომკავშირული კადრებისა და აქტივის შერჩევის, განაწილების, აღზრდისა და სწავლისათვის, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყოველმხრივ ვითვალისწინებდეთ კადრებთან მუშაობის ლენინურ პრინციპებს. ამ საქმეში მთავარია მკაცრად დავიცვათ კადრებთან მუშაობაში კოლექტიურობისა და საჯაროობის ლენინური პრინციპები, მასობრიობა და გეგმაზომიერება. კონკრეტულად განიხილეს თუ როგორ ზრდიან, ამზადებენ კომკავშირულ მუშაკებს, აქტივისტებს კომკავშირელთა რიგებიდან კომკავშირის კომიტეტები, დაასახელეს კომკავშირული წინამძღოლები, რომლებიც ახალგაზრდობის უნარიანი ორგანიზატორები არიან.

თანამედროვე ტიპის კომკავშირული მუშაკი, აღინიშნა პლენუმზე, — ეს ის მუშაკია, რომელსაც შეუძლია მუშაობა ცალკეული კატეგორიების ახალგაზრდებთან, მათი სურვილების, მისწრაფებების, სოციალური, პროფესიული, ასაკობრივი და სხვა თავისებურებების გათვალისწინება და მთელი ამ მუშაობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, შეუძლია საქმის პრაქტიკული ორგანიზაცია; ის მუშაკია, რომელიც მუდამ იმაღლებს იდეურ-პოლიტიკური და კულტურული მომზადების დონეს, არ ჩამორჩება დროს. თანამედროვე ტიპის კომკავშირული მუშაკები არიან ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი გადაწყვიტონ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, სახალხო-სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მისი აქტიურად ჩაბმის სულ უფრო და უფრო მზარდი ამოცანები.

ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით ითქვა ახალგაზრდა კომუნისტების როლზე კომკავშირში, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების გეგმაზომიერად და გააზრებულად გამოყენებაზე, იმაზე, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ მუშაობა კადრების რეზერვთან, განუწყვეტლივ აღვჭურვოთ ისინი პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე ცოდნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, ძირეული რგოლების აქტივისტების, ჯგუფკომორგების სწავლება კომკავშირული აქტივის სკოლებში, სრულვყოთ კომკავშირული კადრებისა და აქტივის ეკონომიკური სწავლება.

თითოეული კომკავშირის კომიტეტის, კომკავშირული მუშაკისა და აქტივისტის მუშაობის სტილს უნდა ახასიათებდეს კონკრეტულობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი მეცნიერული მიდგომა. კომკავშირის კომიტეტებმა ბეჯითად უნდა სრულყონ კომკავშირული მუშაობის დაგეგმვის პრაქტიკა, წარმართონ იგი მეცნიერულ საფუძველზე, ახალგაზრდულ კოლექტივებში საქმის ვითარების ღრმა შესწავლის გათვალისწინებით. პლენუმმა კომკავშირის კომიტეტებს მოსთხოვა მთელი თავიანთი მუშაობა დაუქვემდებარონ იმას, რომ პრაქტიკულად განხორციელდეს პარტიის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა — „უყურადღებოდ არ დაგვრჩეს არავინ“, შესრულდეს მთავარი ამოცანა — თითოეული ახალგაზრდა კაცის კომუნისტური რწმენისა და მაღალი ზნეობის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბების ამოცანა.

პლენუმზე მთელი პრინციპულობით ითქვა, რომ საჭიროა ისეთი ეფექტიანი ფორმების უფრო აქტიურად გამოყენება, როგორიც არის კომკავშირული დავალებები, კრებები, სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდებთან მუშაობისადმი დიფერენცირებული ინდივიდუალური მიდგომა. დაისახა ამოცანა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე — კომკავშირული და პიონერული კადრებისა და აქტივის მომზადებისა და გადამზადების რესპუბლიკური ცენტრი როგორც კომკავშირული მუშაობის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების, მისი საუკეთესო გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების სამეცნიერო-მეთოდიკური ლაბორატორია. პლენუმმა კომკავშირულ კომიტეტებს მოსთხოვა კრიტიკულად გააანალიზონ საქმის ვითარება, გადაჭრით აღმოფხვრან კადრებთან მუშაობაში არსებული ყველა ნაკლი, რათა უზრუნველყონ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრანდიოზული პერსპექტივების განხორციელებაში კომკავშირელებისა და ახალგაზრდების უფრო აქტიური, შემოქმედებითი მონაწილეობა.

პლენუმმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის კომკავშირელები, ახალგაზრდობა კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ლენინურ დათვალიერებაში, შრომასა და სწავლაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, ღირსეულად შეხვდებიან ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავს, ახალი სახელოვანი მიღწევებით შეეგებებიან საქართველოს კომკავშირის მე-60 წლისთავს.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც საქართველოს კომკავშირელებისა და ახალგაზრდების სახელით მხურვალედ დაუჭირა მხარი და მოიწონა კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მრავალმხრივი პრაქტიკული მოღვაწეობა. ახალგაზრდობისათვის პარტიის მამობრივი ზრუნვის პასუხად, ნათქვამია დადგენილებაში, ჩვენ პირობას ვდებთ, რომ რესპუბლიკის კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები განუხრელად შეასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებებს, იშრომებენ, ისწავლიან, იცხოვრებენ, იბრძოლებენ და გაიმარჯვებენ ლენინურად, კომუნისტურად.

კომკავშირულ მუშაკთა ჯგუფს პლენუმზე გადაეცა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჯილდოები და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები.

● ●

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა მ. ა. ალანიკაშვილი გაათავისუფლა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად პლენუმმა აირჩია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ი. ი. ხუციშვილი, რომელიც წინათ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა. (საქინფორმი).

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება

18 მარტს დამთავრდა მოლაპარაკება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოსა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ფ. პუიას შორის.

მიღებულია ერთობლივი კომუნიკე, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

□

ამავე დღეს ფ. პუია სამშობლოში გაემგზავრა.

აეროდრომზე იგი გააცილეს ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქტასი).

ვაშენოთ მკვიდრად, ლამაზად, ეკონომიურად

რესპუბლიკის მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

საქართველო ახალშენებათა ხარაჩოებშია. მწყობრში დგება ახალ-ახალი საწარმოო სიმძლავრენი, მიმდინარეობს მოქმედთა რეკონსტრუქცია, ფართოდ ვითარდება საბინაო მშენებლობა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას რესპუბლიკის მშენებლები, საერთოდ, არცთუ ცუდი მაჩვენებლებით ეგებებიან. მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე მათ საექსპლოატაციოდ გადასცეს 4 მილიარდ 682 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, აითვისეს 4 მილიარდ 900 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი.

წარმოების ზრდის ტემპის ყოველწლიური გადიდების შედეგად 1979 წლის დამლევისათვის ხუთწლედის ოთხი წლის საკონტროლო ციფრები კაპიტალდაბანდებათა მიხედვით გადაჭარბებულია 66 მილიონი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიხედვით — 94 მილიონი მანეთით.

მიღწეული წარმატებების, მთელ რიგ უბნებზე არსებულ ნაკლოვანებათა მომავლის პრობლემათა და ამოცანათა შესახებ დაწვრილებითი სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს სსრ მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგემ გ. ა. ანდრონიკაშვილმა. მოხსენება „რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციათა ამოცანები მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მემარიაშვილი, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. ვ. მანჯგალაძე, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსი გ. გ. ვამყრელიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი ვ. მ. დესპოტაშვილი, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ჯ. ი. სიხარულიძე, „თბილისქალაქმშენის“ უფროსი ო. ვ. კიკნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი ბ. ა. ზაუტაშვილი, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის მექანიკოსი მ. ს. კორბი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველი ა. ი. დახუნდარიძე, ჟინვალჰესის მშენებლობის უფროსი ა. ი. ჩალაძე, რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მშენებარე ობიექტების გაერთიანებული დირექციის უფროსი ე. მ. იაკობაშვილი, რუსთავის ლითონკონსტრუქციათა ქარხნის ინჟინერ-ეკონომისტი ტ. ს. ზლობინა, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მთავარი ინჟინერი მ. შ. ჯობავა, რესპუბლიკის მთავარმომარაგების უფროსის მოადგილე ლ. ს. თოფურია, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი თ. ქ. ქორიძე.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კაპიტალური მშენებლობისა და საწარმოთა რეკონსტრუქციის დარგში უმნიშვნელოვანესი ამოცანა კვლავ არის ხუთწლედის ყველა ასამუშავებელი ობიექტების დროული და ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემა. ხუთ წელზე მეტია, რესპუბლიკაში მოქმედებს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ერთიანი შეკვეთის სამსახური, რომელშიც ამჟამად თავმოყრილია არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა 75 პროცენტზე მეტი. დადებითი გამოდგა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეკვეთის ცენტრალიზებული სამსახურის შექმნაც.

მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე, როგორც კრებაზე აღინიშნა, თვისებრივად შეიცვალა მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონეც. ერთობლივი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის კარგი გამოცდილებაა შეძენილი მსხვილი საწარმოო კომპლექსების მშენებლობაშიც.

მოიყვანეს პარტიის თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, სხვა საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობის დადებითი მაგალითები. მათ შექმნეს შტაბები მსხვილ მშენებლობებზე, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ წარემართათ შემკვეთთა, მოიჯარეთა, დამპროექტებელთა და მემონტაჟეთა მუშაობა.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ რესპუბლიკის დედაქალაქის საბინაო მშენებლობის მდგომარეობასა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს. პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი მკაცრ კონტროლს უწევს სამრეწველო დანიშნულების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობას.

მაგრამ ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაცია შეურიგდა მთელი რიგი სამშენებლო სამმართველოების ჩამორჩენას, თვალს არიდებს ნაკლოვანებებს მათს საქმიანობაში, არ გამოუნახავს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური გზები, როგორიც არის დაგეგმილ სიმძლავრეთა დროული და ხარისხოვანი ამოქმედება. ეს იყო იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ 1979 წელს საექსპლოატაციოდ ვერ გადაეცა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ისეთი საჭირო ობიექტები, როგორიც არის 39 მილიონი კუბური მეტრი ტევადობის ლიახვის წყალსაცავი, გორის ბამბეულის კომბინატის ფილიალი ახალციხეში, მსხვილი მარნები კარდანახსა და თელავში, ღვინის ქარხნები თერჯოლასა და საგარეჯოში, ჩაის ფაბრიკები ჩხოროწყუს, ქობულეთის და ოჩამჩირის რაიონებში, ბზნისის მებოცვრეობის კომპლექსი, ვაჩიანის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი კომპლექსი, გორელოვკის რძის საწარმოო კომპლექსი, გუდაუთის მინერალური სასუქების საწყობი და სხვ.

მაგრამ უბედურება მარტო ეს არ არის, ითქვა აქტივის კრებაზე. ბევრი ობიექტი საექსპლოატაციოდ გადაცემულია არა სრული სიმძლავრით, არამედ ეგრეთ წოდებული „ასამუშავებელი მინიმუმით“, ესე იგი დროებითი სქემით. ასეთებს განეკუთვნება „სამთოსოფლმანქანის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ტირიფონის სარწყავი სისტემა. ახალი სიმძლავრენი თბილისის „პლასტმასის“, სურამის მინის ტარის, ქუთაისის საკონსერვო ქარხნებში და სხვები.

მარტო ძირითად საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლოატაციოდ არ გადაუციათ საწარმოო დანიშნულების 308 ობიექტი.

კრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. საცხოვრებელი ფართობი უპირველეს პრობლემად რჩება. უკანასკნელი წლების მანძილზე საბინაო მშენებლობაში დაისახა საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისებაში განსხვავების განუხრელი ზრდის შემაშფოთებელი ტენდენცია. მოიყვანეს მაგალითები: 1976 წელს განსხვავებამ შეადგინა 4,9 მილიონი მანეთი, 1977 წელს 6,6 მილიონი მანეთი, 1978 წელს — 11,5 მილიონი მანეთი, შარშან კი მან უკვე 16,3 მილიონ მანეთს მიაღწია. ეს იწვევს დისპროპორციას გამოყოფილი სახსრების ზრდასა და საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლების ფაქტობრივ გადაცემას შორის.

ცუდად დაიწყეს მშენებლებმა წლევანდელი წელიც. ორ თვეში განსხვავებამ სახსრების ათვისებაში 3,2 მილიონი მანეთი შეადგინა. დეკემბერში რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა თითქმის 420 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა, რაც მთელი წლიური პროგრამის 41 პროცენტს შეადგენს.

აქტივის კრებაზე მთელი სერიოზულობით აღინიშნა, რომ ამიერიდან გეგმით დასახული საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის ჩაშლისათვის, სამუშაოთა დაბალი ხარისხისათვის მკაცრად აგებენ პასუხს მინისტრები, ტრესტების მმართველები, სამშენებლო სამმართველოების უფროსები, პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები.

უაღრესად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაზე. ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრების მხოლოდ 85 პროცენტია ათვისებული.

უდიდესი კაპიტალდაბანდებების ათვისება მოითხოვს მშენებელთა მრავალათასიანი არმიის განუწყვეტლივ შევსებას კვალიფიციური კადრებით. ყოველნაირად უნდა მოვამზადოთ მშენებლის პროფესიების ათასობით მუშა.

მშენებლობაში მანქანა-მექანიზმების სიმრავლე გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს მუშათა კვალიფიკაციას, მაგრამ მშენებლობებზე ჯერ კიდევ არ კმარა მაღალკვალიფიციური ელექტრომემდუღებლები, ელექტრომემონტაჟეები, მებულდოზერეები, მეექსკავატორეები. ეს ნიშნავს, რომ მანქანებსა და მექანიზმებს ყოველთვის ეფექტიანად არ იყენებენ.

საჭიროა გავხსნათ ახალი პროფტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც მოამზადებენ მშენებლებს, გავაფართოოთ არსებული სასწავლებლები და აღვჭურვოთ ისინი თანამედროვე ტექნიკით.

დიდი ნაკლოვანებანი ახასიათებს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა მუშაობას. მშენებლობაზე შეფერხებებით იღებენ ცემენტს, საშენ და ინერტულ მასალებს. ეს კი მშენებელთა ჩამორჩენის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია.

რესპუბლიკის მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ მშენებლების, მემონტაჟეების, დამპროექტებლების მრავალათასიანი არმია, რომელიც აღაფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით საქართველოს სს რესპუბლიკის მეშვიდეჯერ დაჯილდოებამ, 1980 წელს — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღესასწაულობის წელს დამკვრელურ შრომის წლად გადააქცევს, წარმატებით შეასრულებს მეათე ხუთწლედის დავალებებს და ამით საძირკველს ჩაუყრის შემდგომ მიღწევებს.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. ქედიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ბ. დ. მახარაშვილი.

(საქინფორმი).

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

სურნელოვანი პროდუქციის წარმოების ჩრდილ-ნათელი

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების გადიდებისათვის მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია 31 მილიონი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი.

ეს დიდი სახსრები მოხმარდება სპეციალიზებულ მეურნეობაში სათბურების მშენებლობას, ურწყავი და ჭარბტენიანი მიწების სამელიორაციო სამუშაოებს და დარგის სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოების ღონისძიებებს.

საქართველოს ზოგიერთი რაიონის ნიადაგური და კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა კიდევ უფრო გადიდდეს ნემსიწვერას, რეჰანისა და სხვა ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენს ქვეყანაში ნემსიწვერას (გერანი) ზეთზე მოთხოვნილება საკმაოდ დიდია და დღეისათვის წარმოებული პროდუქცია მოთხოვნილების მხოლოდ 40-50 პროცენტს აკმაყოფილებს. აქედან 10-15 პროცენტს გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვი“ აწარმოებს.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევგენოლის რეჰანს, რომლის ზეთს ფართოდ იყენებენ კვების მრეწველობასა და მედიცინაში. გარდა ამისა, რეჰანის ნედლეულის გადამუშავების შემდეგ მიღებულ ნარჩენებს სათანადო დაკომპოსტების შემდეგ იყენებენ, როგორც ორგანულ სასუქს, რადგან იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს აზოტს, ფოსფორს და სხვა. მაგრამ ევგენოლის რეჰანის, ისევე როგორც სხვა ტროპიკული და სუბტროპიკული წარმოშობის ეთერზეთოვანი კულტურების მოვლა-მოყვანა მეტად შრომატევადი და სათუთი საქმეა. ამიტომ აგროწესების დაუცველობისა და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო რესპუბლიკაში საგრძნობლად შემცირდა ევგენოლის რეჰანის ნედლეულის წარმოების დონე (1975 წლის 14000 ტონიდან 1978 წელს 3 ათას ტონამდე შემცირდა).

ისიც საგულისხმოა, რომ ეს კულტურა რატომღაც დარაიონებულია მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში და ამიტომ ჩვენგან მოითხოვენ რაც შეიძლება გავზარდოთ მისი ზეთის წარმოება. საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტრო ითვალისწინებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ეთერზეთოვანმა ქარხნებმა წლეულს გამოუშვან 30 ტონა რეჰანის ზეთი, რისთვისაც საჭიროა 10 ათას ტონაზე მეტი რეჰანის ნედლეული, ე. ი. მისი წარმოება 1978 წელთან შედარებით 4-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ამ დავალების რეალიზაციისათვის და საერთოდ ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების გასადიდებლად საჭიროა ქმედითი ღონისძიებები. ამიტომ იყო, რომ შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა: „დღემდე არ გადაჭრილა ეთერზეთოვანი პროდუქციის წარმოების უფრო რაციონალური ორგანიზაციის პრობლემა, საჭიროა დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რომ კვების მრეწველობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მოამზადოს დასაბუთებული წინადადებანი ამ საკითხზე და შემოიტანოს ისინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად“.

ასეთი წინადადებები უკვე მზადდება და ალბათ უახლოეს დღეებში სათანადო დადგენილებასაც მიიღებენ, მაგრამ არის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც ეხლავე უნდა გადაწყდეს, რათა აქედანვე შეიქმნას პირობები მიმდინარე წელს ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. ჩვენი აზრით, საჭიროა, (გადიდების მიზნით) გადაისინჯოს ამჟამად არსებული ნემსიწვერას და რეჰანის ნედლეულის შესასყიდი ფასი, უნდა მოგვარდეს ამ კულტურების მოვლა-მოყვანაზე დასაქმებული მუშახელისა და სპეციალისტების შრომის დამატებითი ანაზღაურება, ამ დარგში ფართოდ და გაბედულად დაინერგოს ეკონომიკური და მორალური წახალისების მოწინავე გამოცდილება; შესაბამისმა ორგანიზაციებმა ეთერზეთოვანი კულტურების მწარმოებელ მეურნეობებს უნდა გამოუყონ საკმაო რაოდენობის აუცილებელი მინერალური სასუქები, შხამ-მასალები და ჰერბიციდები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ეთერზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმები სრულდებოდეს ნედლეულის სახეობის მიხედვით, ვინაიდან ძირითადი ეთერზეთოვანი კულტურების პროდუქციის სიმცირის გამო დამზადების გეგმის შესრულების მიზნით გადამამუშავებელი საწარმოები დიდი რაოდენობის (12-15 ათასი ტონა) დაფნის მწვანე მასას იბარებენ და ამუშავებენ. ეს, ერთი მხრივ, სასარგებლოა იმით, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობები და მოსახლეობა სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის საფასურად კარგ ანაზღაურებას იღებენ; მაგრამ იმის გამო, რომ ჯერჯერობით სრულყოფილად არ არის შესწავლილი დაფნის ეთეროვანი ზეთის გამოყენების წესი, ძნელდება მისი გასაღება და ფინანსური სიძნელეები ექმნებათ მეურნეობა-ქარხნებს, რომლებიც ამ სახეობის ნედლეულს ამუშავებენ. ამასთან უგეგმოდ დამზადებული ნედლეულისაგან, მიღებული ზეთის შესანახად და დასაფასოებლად ჭირს სამისოდ ვარგისი ჭურჭლის შოვნა, რის გამოც ზოგჯერ შეუფერებელ კასრებს და სხვა სახის სათავსებში შენახული ზეთი ხარისხს კარგავს.

ახლა რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დავალებით დაფნის ნედლეულის დამზადება წარმოებს დასავლეთ საქართველოს ყველა იმ რაიონში, სადაც დაფნის ნარგაობანი აქვთ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის (ორი ათასი ტონა თითოეულ რაიონში) ნედლეული უნდა დამზადდეს და გადამამუშავებელ ქარხნებს ჩაბარდეს ზუგდიდისა და ხობის რაიონებში, ასევე საკმაოდ დიდი დავალება აქვთ მახარაძის, ცხაკაიას და სხვა რაიონებს.

წლეულს, როგორც გამონაკლისი, დაფნის ნედლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვა გაგრძელდება 1 აპრილამდე, მაგრამ დამზადების დღევანდელი ტემპი ძალზე არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთ რაიონში კი თითქმის არაფერი კეთდება იმისათვის, რომ ამ რიცხვისათვის გადაჭარბებით შესრულდეს რესპუბლიკაში ეთერზეთოვანი კულტურების დამზადების საერთო გეგმა.

დაფნის ნედლეულის დამზადების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად თითქმის ყველა რაიონში მოეწყო ნედლეულის მიმღები დროებითი პუნქტები. გარდა ამისა, მახარაძის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ქობულეთის და ზოგიერთ სხვა რაიონის ტუნგის დამზადების პუნქტები მოსახლეობისაგან მიიღებენ დაფნის ნედლეულსაც.

ადგილებზე კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს დახმარება დაფნის ნედლეულის ჩამბარებლებისადმი. მათ უნდა განუმარტონ, რომ ერთი ტონა ყლორტებიანი (დასაშვებია 10 მმ ზომის ყლორტები) დაფნის მწვანე მასის ღირებულებაა 400 მანეთი და ჩაბარებული ნედლეულის საფასურს მიიღებენ იმ მეურნეობაში, სადაც ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ.

ახლა ამოცანა ის არის, რომ უთუოდ შევასრულოთ დაფნის ნედლეულის დამზადების გეგმა და საიმედო საფუძველი შევუქმნათ მომავალ მოსავალს.

ი. ეცადაშვილი,
საქართველოს აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის“ უფროსი.

პარტიული ცხოვრება: კომუნისტის ზნეობრივი ნორმა

სიკეთე ყველას ეყოფა

- მხოლოდ მადლობა...
- ფასი აუწონავი სიტყვისა
- საიდან მოდის „ნდობის დეფიციტი“

რაიკომის მდივანმა მაშინვე იცნო ნანა. უკვე მერე, როდესაც ყველაფერი კარგად დამთავრდა და ნანა ხვედელიძე თავის დედასთან ერთად საკუთარ ჭერს შეეფარა, მადლობის ბარათი მისწერა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პირველ მდივანს ნათელა ლაღიძეს. მადლობის ალალი, გულწრფელი სტრიქონები იყო. ამასთან მარტო იმ კონკრეტული დახმარებისათვის კი არ უხდიდნენ მადლობას მდივანს, არამედ რწმენის დაბრუნებისთვისაც, იმ რწმენისა, სხვადასხვა ინსტანციებში სიარულისა და გაუთავებელი დავის დროს რომ დაკარგა დედა-შვილმა. ადამიანური ყურადღებისა და დადებითი ემოციების წყალობით გამოკეთებულმა ნანამ სურათი გადაიღო და ბარათთან ერთად გაუგზავნა რაიკომის მდივანს, სადაც სიხარულს უზიარებდა მას, როგორც ამ სიხარულის პირველწყაროს. ამ სურათიდან ახსოვდა ნ. ლაღიძეს ნანას სახე.

რაიკომის მდივანი მიეგება ნანას, გულითადად მოიკითხა და ალტაცებაც ისე გაიზიარა მისი, როგორც ადრე — გასაჭირი, როდესაც შესჩიოდნენ და დახმარებას სთხოვდნენ არა მხოლოდ „როგორც რაიკომის მდივანს, არამედ როგორც ახალგაზრდა ქალს, როგორც დეპუტატს“.

მადლობას კი აი რატომ უხდიდნენ:

შვილის მძიმე ავადმყოფობამ დედას თავისი ორჯერ ინფარქტგადატანილი გული დაავიწყა: გაბზარულ შუშასავით უნდოდა ქალიშვილს გაფრთხილება, სიმშვიდე, სიწყნარე ესაჭიროებოდა. ის პატარა ოთახი, რომელშიც ცხოვრობდნენ, კი ეყოფოდათ, იზოლირებული რომ ყოფილიყო, მაგრამ იმავე კორიდორით კიდევ სხვა ორი (ხუთსულიანი და სამსულიანი) ოჯახი სარგებლობდა. მეზობლებს შორის ურთიერთობა კი უფრო და უფრო იძაბებოდა. დედა-შვილმა ხვედელიძეებმა ბევრი ინსტანციის უნაყოფოდ მოვლის შემდეგ ორჯონიკიძის რაიკომს მიმართეს. ნანას ლოგინიდან წამოდგომა არ შეეძლო, დედა წავიდა რაიკომში. ნანამ კი წერილი მისწერა ნ. ლაღიძეს, თავისი მდგომარეობა აუწერა და თან დასძინა: „ჩემს სენთან მედიცინა უძლურია, მე ადამიანებმა, მათმა ყურადღებამ, სითბომ უნდა მაცოცხლოსო“.

— ინტუიცია, თუ ის, რაც ქალბატონ ნათელაზე მქონდა გაგებული, არ ვიცი, რაღაც მაიმედებდა, გული მიგრძნობდა, რომ დამეხმარებოდნენ, გაწამაწიას მალე მოეღებოდა ბოლო. ასეც მოხდა... — მითხრა მერე ნანამ, უკვე მაშინ, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ერთოთახიან იზოლირებულ ნათელ, მყუდრო ბინაში რომ მოვინახულე. ისიც მითხრა, ფეხზე წამოდგომა რომ შევძელი, პირველი, სადაც წავედი პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი იყოო. პირველი მდივნის მისაღებში ბევრი ხალხი ირეოდა. ძირითადად თანამშრომლები იყვნენ, თათბირზე შესვლას აპირებდნენ.

— მე მხოლოდ ერთი წუთით შევალ, მარტო მადლობას ვეტყვი, მეტს არაფერს... — სთხოვა ნანამ მათ.

...და რაიკომის მდივნის თვალწინ გაცოცხლდა სურათში ნანახი ქალიშვილის სახე.

განუზომელია მადლი სიკეთისა, ავადმყოფს ფეხზე წამოაყენებს და კილომეტრებს გამოატარებს... მადლობის სათქმელად.

ექიმის შეცდომა სიცოცხლის ფასად შეიძლება დაუჯდეს ადამიანს. რა ჯდება ხელმძღვანელის შეცდომა? პირველი ფიზიკურად ანადგურებს ადამიანს, მეორე — სულიერად, მორალურად, თანაც მეორე პირველზე ნაკლები როდია. ერთმა წინდაუხედავმა სიტყვამ შეიძლება კარგა ხნით ამოაგდოს ადამიანი კალაპოტიდან, განწყობილებაზე კი რამდენად არის დამოკიდებული შესრულებული სამუშაოს ხარისხი! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე ითქვა: ხელმძღვანელის „არაკომპეტენტურობა დამოუკიდებლად გავლენას ახდენს საქმის შედეგებზე, ხოლო როცა საქმე ზარალდება — აუცილებლად ზარალდებიან ადამიანებიც. ხელმძღვანელის კომპეტენტურობა, რომელიც ყველაზე სრულად ვლინდება არა მარტო საქმეში, არამედ პიროვნებათა შორის ურთიერთობის სფეროშიც, თანამედროვე წარმოების პირობებში გვევლინება მაღალი ადამიანურობის სინონიმად“.

ცხოვრება სულ უფრო მეტად გვარწმუნებს იმაში, რომ საკმარისი არ არის იყო მხოლოდ კარგი სპეციალისტი, საქმის მცოდნე, ორგანიზატორი, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის პიროვნულ ღირსებებს. წლების გამოცდილებამ ათქმევინა სერგო კოროლიოვს: „წინათ ახალ თანამშრომელს რომ ვიღებდი, მაინტერესებდა მხოლოდ ერთი რამ: როგორი სპეციალისტი იყო, ახლა — როგორი ადამიანია“.

იმაზე, თუ როგორი პიროვნებაა იგი, ვის მისაღებშიც ადამიანი შეიძლება საათობით იჯდეს, დამოკიდებულია არა მარტო ის, უთუოდ დადებითად გადაწყდება თუ არა სასურველი საქმე, არამედ ისიც, თუ რა გუნება-განწყობილებით გამოვა იგივე ადამიანი კაბინეტიდან. უარს კი გაცილებით მეტი ტაქტი სჭირდება. დასაბუთებული, დამაჯერებელი არგუმენტაცია უარით გამოწვეულ წყენას ამსუბუქებს.

ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც უკანონო შეღავათს მოითხოვდა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვას ეს შეღავათი მისცეს (ეს რომ არა, აზრადაც არ მომივიდოდა ამის მოთხოვნაო, თქვა მერე), ასეთი მოკლე და კონკრეტული პასუხი მიიღო: „ის გამონაკლისად მივიჩნიეთ, თქვენთვის იგივეს ვერ ვიზამთო“. არავითარი დასაბუთება, თუ რატომ იქნა გამონაკლისად მიჩნეული ერთი და რატომ არ შეიძლება მეორისთვის იგივე, როდესაც ახალგაზრდამ სწორედ ეს მოითხოვა, დამხედური განაწყენდა კიდეც: „როგორ, ჩემი პოზიცია განა საკმარისი არ არის?. ერთი პიროვნების პოზიცია კი, როდესაც საქმე ათობით ადამიანის ბედს ეხება, საკმარისი, რა თქმა უნდა, არ არის. რასაკვირველია, გამონაკლისი ყველა წესს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მას საქმის ობიექტური, რეალური ვითარება უნდა იდოს საფუძვლად და არა „პოზიციად“ მონათლული ვისიმე სურვილი. და თუ წყალგაუვალი იქნება ის ჭეშმარიტება, რომელსაც ნორმისგან გადახრა მოსდევს, იგი ეჭვსაც აღარ დაბადებს. უპირველესად ეს სიმართლე უნდა გახდეს ნათელი მომსვლელისთვის, დარწმუნების უნარი ხომ ხელმძღვანელის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა.

გასაგებია, რომ იმ ახალგაზრდის გარდა, სხვაც ბევრი შედიოდა იმ დღეს იმ კაბინეტში, რომ ძნელია, ყველასთან გულითადი საუბარი, ამდენი ახსნა-განმარტება, მაგრამ სხვა გზა რომ არ არის! ვინ არ იცის, რა ძნელია ლიდერობა. თუ გინდა რომ გირწმუნონ, მარტო ყოველი ნაბიჯი კი არა, თითოეული სიტყვაც ასჯერ აზომილ-აწონილი უნდა იყოს. არაფერი სცემს ხელმძღვანელის ავტორიტეტს ისე, როგორც აუწონავი სიტყვა. ეს საკითხის ერთი მხარეა, მეორე და არანაკლებმნიშვნელოვანია ბაგის განუსჯელად მომწყდარი სიტყვის გამო ადამიანთა სულში ჩარჩენილი კვალი, რომელიც ხშირად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ გულისტკივილი.

საქართველოს კომპარტიის XVII პლენუმზე თბილისის ჩარხმშენებელი გაერთიანების მეთაური საწარმოს მოწინავე მუშამ ვ. ტენიშჩევმა თქვა: „როგორ მეამაყებოდა, როცა ადრე ჩვენ ქარხანას საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის ფლაგმანს, კადრების სამჭედლოს უწოდებდნენ. დღეს ჩვენი მისამართით რადიკალურად საწინააღმდეგო ითქვა და სრულიად სამართლიანადაც“. რა მოხდა? რამ გამოიწვია ქარხნის ჩამორჩენა?

ორიოდე წლის წინ საწარმოში მოაწყვეს სოციოლოგიური გამოკვლევა — ქარხნის ასობით მუშაკმა გასცა პასუხი კითხვებზე, თუ რა მიაჩნდათ თავიანთი მაშინდელი დირექტორის ტ. კიკნაძის ღირსებად და ნაკლად. სამ მეოთხედზე მეტმა ერთი და იგივე უკიჟინა ხელმძღვანელს — არ სურს თუ არ შეუძლია ხალხთან ურთიერთობა, უხეშია, იცის შეურაცხმყოფელი გამოთქმები, დაუმსახურებელი ყვირილი. ყოველივე ამან დინადობა მოურჩენელ სენად უქცია ქარხანას, 660-ზე მეტმა ინჟინერ-ტექნიკოსმა მუშაკმა მიატოვა საწარმო. რა ხეირი დაეყრება საამქროს, სამი წლის განმავლობაში ხუთ-ექვსჯერ რომ გამოეცვლება უფროსი. აკი არც ეყრებოდა! ერთ დროს ფლაგმანად წოდებული საწარმო კუდში მაჩანჩალად იქცა. აი, რა უსუსური ხდება ორგანიზატორული ნიჭიც, საქმის სიყვარულიც თუ ადამიანში ადამიანისადმი სიყვარული თვლემს!..

ერთ დღეს ამწისქვეშა ლიანდაგი დაზიანდა. საქსახსამთოტექზედამხედველობის კომიტეტმა აკრძალა ამწის მუშაობა, მეამწეებმა ლამარა წერეთელმა და ანტონინა დიადიჩენკომ უარი განაცხადეს მუშაობაზე. საამქროს უფროსმა თავისი დაიჟინა, იმუშავეთო. მაშინ უკიდურეს შემთხვევაში ცნობა მაინც მოგვეცით, რომ პასუხისმგებლობა მოხსნილი გვექნებოდესო, — მოითხოვეს ქალებმა.

— ცნობა არა... დაგიხატავთ ახლა ცნობებს... — პასუხი არცთუ დელიკატური იყო...

ასე დაიწყო უთანხმოება თბილისის საწარმოო გაერთიანება „ილმავალმშენებლის“ სამჭედლო საამქროს უფროსს მავრი დოლიძესა და იმავე საამქროს მუშებს შორის. დასაწყისი „იღბლიანი“ გამოდგა, მას ბევრი მეტად სოლიდური წალაპარაკება მოჰყვა. კონფლიქტი მალე საწარმოს ფარგლებს გასცდა — პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტამდე, გაზეთ „კომუნისტამდე“, „ტრუდამდეც“ კი მიაღწია.

ცალ-ცალკე მომჩივანი ყველა მართალია. საკუთარი თავის გამტყუნება არც ისე იოლია, მაგრამ ხელმძღვანელს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ხელმძღვანელია, მეტი მოეთხოვება. ერთხელ რომ მუშაკს უსაფუძვლო მოთხოვნას წაუყენებ, მეორედ სრულიად სამართლიან და სწორ მოთხოვნასაც ეჭვით შეხედავს (ხომ აღარ გვჯერა ხოლმე იმისი, ვისაც ერთხელ სიცრუეში დავიჭერთ).

იგივე მავრი დოლიძის რეკომენდაციით დააჯილდოვეს ა. დიადიჩენკო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით, მერე კი, როცა სხვანაირად დასჭირდა, უდისციპლინო და ყალთაბანდი უწოდა მას. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ა. დიადიჩენკო 18 წელია ამ საწარმოში მუშაობს და ურიგო მუშაკად არ ითვლება. ამ შემთხვევაში უფრო მთავარია მეორე — ხელმძღვანელის პოზიცია. ორივე შემთხვევაში ხომ მართალი არ იქნებოდა საამქროს უფროსი, ესე იგი ან პირველად შეცდა, ან მეორედ. ასე იწყება უნდობლობა. ამგვარი შემთხვევებიც განსაზღვრავს, იმავე მეჩვიდმეტე პლენუმზე ნათქვამი ტერმინით რომ ვთქვათ, კადრებისადმი საზოგადოებრივი ნდობის დეფიციტს.

მეოცე საუკუნის თითქმის მოწყრულს უაღრესად დაძაბულ, რთულ პირობებში ვცხოვრობთ. სტრესი თითქმის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენად გვექცა. „ნუ დაგავიწყდებათ დიეტა, მოციონი, სუფთა ჰაერი!“ — გვახსენებენ მედიკოსები. და, რაც მთავარია, ნერვები — მისი უდიდებულესობა! ცნობილი საბჭოთა გასტროენტეროლოგი პროფესორი მ. მელიქოვა ჟურნალ „ჟურნალისტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: „შეიძლება დღეში ხუთჯერ ვჭამოთ, ვიძინოთ დღე-ღამეში 8 საათს, არ ვიაროთ მივლინებებში და ავადმყოფობდეთ მხოლოდ კოლექტივში შექმნილი ცუდი ურთიერთდამოკიდებულების გამო. ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვუფრთხილდებით ერთმანეთს და ეს ჩვევად გვექცა. არ გვესმის, რომ შეიძლება ამოაგდო ადამიანი ცხოვრების რიტმიდან სულ ორი სიტყვით, მხოლოდ ინტონაციით. მარტო დაუფიქრებელი გამოთქმებით შეიძლება გამოვიწვიოთ სტრეს-რეაქცია. ჩვენ ყველა ვცოდავთ ამაში“. გონიერი ხალხი კი ყველაზე დიდ ბედნიერებად ადამიანთა ურთიერთობას რაცხს. და ამ ურთიერთობას თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება. თუ არადა, ყველაზე საშინელ მოსამკლელს მოვიმკით — სულის გაუხეშებას, უნდობლობას.

არსებობს ასეთი აღმოსავლური თქმა: „ადამიანი ქვაზე მაგარია და ვარდზე უნაზესიო“. აქ ხაზგასმულია, ერთი მხრივ, ადამის მოდგმის უსაზღვრო შესაძლებლობანი, ზღვა ენერგია, ქვას რომ გატეხს, კლდეს გაზეთქავს, და, მეორე მხრივ, მისი ნაზი სულიერი სამყარო, ურთულესი ფსიქოლოგია. სწორი მართვა, ადამიანთა შესაძლებლობების მაქსიმალური და მიზნობრივი გამოყენება და თანაც ისე, რომ ეს მათი შემოქმედებითი ენერგიის სულ უფრო მეტად აღზევებას იწვევდეს — აი მიზანი, რომლის მიღწევა წარმოუდგენელია, თუ თვით იმავე ადამიანზე დღენიადაგ, დაუცხრომლად არ ვიზრუნებთ. ამას მოითხოვს თითოეული ჩვენგანის, მთელი საზოგადოების ინტერესები. და ეს არც ის რთული ამოცანაა, რადგან სიკეთე იმდენი არსებობს ქვეყნად, რომ თუკი ერთმანეთისათვის არ გვეშურება, ყველას ეყოფა.

გ. ხარებაშვილი.

ახალი თვითსაცლელი...

ავტომშენებელთა გარჯით

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით წარმოებისა და მუშაობის ხარისხის ეფექტიანობის ამაღლების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის კოლექტივი გამარჯვებულად ცნეს. საწარმოო დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საპატიო ჯილდოს პასუხად ქუთაისის ავტომშენებლებმა გადაწყვიტეს კიდევ უფრო ნაყოფიერად იშრომონ, ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.

საწარმოს კონსტრუქტორების მიერ შექმნილმა „კაზ-4540“ თვითსაცლელის ახალმა მოდელმა წარმატებით გაიარა საქარხნო გამოცდა. მისი სერიული წარმოება მეთერთმეტე ხუთწლედში დაიწყება. ახალი მანქანა გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობისათვის, მისი ტვირთამწეობა 12 ტონაა.

სურათებზე: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალი თვითსაცლელი „კაზ-4540“; საწარმოს გამომცდელი მძღოლი ალექსანდრე კოპალეიშვილი.

გ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„პარტიული სიტყვა“ № 5

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

ანშლაგით „ლენინის იუბილეს შესახვედრად“ დაბეჭდილია წერილები: შ. აღლემაშვილ-პაპუნაშვილის — ხორცი შევასხათ ლენინური მუშაობის წლის ამოცანებს; ლ. პინჩუკის — ბელადის დედა; ეძღვნება ვ. ი. ლენინის იუბილეს.

რუბრიკით „მართლწესრიგის დაცვისათვის“ გამოქვეყნებულია ნ. სამსონიძის — უფრო ეფექტიანად ვებრძოლოთ დამნაშავეობას; ბ. ჯანაშვილის — ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის სულისკვეთებით.

განყოფილებაში „მასალები სიტყვიერი გამოსვლისათვის“ წაიკითხავთ ვ. სობოლევის სტატიას — ახალი ამოცანების გადასაწყვეტად; ო. ქავთარაძის წერილს — მშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; მ. თავდიშვილის ინფორმაციას — ავტორი „სურამის ციხისა“, სარედაქციო წერილს — იატაკქვეშეთის უძნელეს პირობებში.

რუბრიკით „სპეციალისტის რჩევა-დარიგება“ დაბეჭდილია ვ. ჯორბენაძის წერილი — ჩაი: რაოდენობაც, ხარისხიც.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულნი“; „საბჭოთა ცხოვრების წესი“; ვეხმაურებით სტატიას „მომხმარებლური თუ გონივრული“?; „დისციპლინა, პასუხისმგებლობა“; „გამოიყენეთ საუბარში“.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომი

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი „ექვსი წელია შენდება“ ეხებოდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომპლექსის მშენებლობის გაჭიანურებას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივანმა თ. მიქაძემ რედაქციას აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად შეიქმნა კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელობის რაიონული შტაბი საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივნის თ. იეღაძის ხელმძღვანელობით.

გაიმართა პარტიის რაიონული კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები დასახეს.

მშენებლობაზე გაიგზავნა საჭირო რაოდენობის მუშახელი, რის შედეგადაც მდგომარეობა გამოსწორდა, საექსპლოატაციოდ გადაეცა სასწავლო კორპუსი და ერთი ოთხსართულიანი კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი, მთავრდება კლუბის მშენებლობა.

ამჟამად მიმდინარეობს სპორტული დარბაზის, გამწმენდი ნაგებობის, სასადილოსა და მეორე ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

პარტიის რაიონული კომიტეტი მშენებელ ორგანიზაციასთან — ქუთაისის № 4 ტრესტის მშენებლებთან ერთად ყველაფერს იღონებს, რომ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომპლექსის მშენებლობა წელს დამთავრდეს.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი

„სოფელი მოატყუა“ — ასეთი სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა სოფელ ხუნევში ხიდის მშენებლობას, გამოყოფილი სახსრების უმართებულო ხარჯვასა და სუსტ კონტროლს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. დევდარიანმა გვაცნობა:

აღნიშნული საკითხი რაიკომმა შეისწავლა და განიხილა ბიუროზე. მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. დაშვებული დარღვევებისათვის ხუნევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. გოგოლაძე მოიხსნა თანამდებობიდან, სამუშაოდან განთავისუფლებულია აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის საწყობის გამგე-მოლარე შ. ლომიძე. ხიდის მშენებლობა უკვე დამთავრდა. რაიკომის ბიურომ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა კოლმეურნეობის ხელმძღვანელი კადრებით გაძლიერებისა და სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო

20 თებერვალს „კომუნისტში“ დაბეჭდილ მამხილებელ წერილში „ყალბისმქნელები“ ლაპარაკი იყო „ჭიათურგაზის“ კანტორის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. აი, რას გვატყობინებს ამის თაობაზე საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ბ. ლო ჟანიძე:

ამ საკითხზე საქმთავარგაზის კოლეგიამ ჯერ კიდევ იანვარში იმსჯელა. სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისადმი სუსტი კონტროლისათვის, რამაც სახელმწიფო ქონების დატაცების ხელშემწყობი პირობები შექმნა, „ჭიათურგაზის“ უფროსი თ. მოდებაძე და მთავარი ინჟინერი ა. კაკაბაძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან. წინასწარ შეუმოწმებლად ფორმა № 2-ის სახბანკის კანტორაში გასანაღდებლად წარდგენისათვის კანტორის უფროს ბუღალტერს მ. დარბაიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

გვატყობინებენ
საქდესისა და
ახალი ამბების
სააგენტოს
კორესპონდენტები

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

ანჯელა დევისის ინტერვიუ

სან-ფრანცისკო, 18 მარტი. კაცობრიობის უდიდესი გენიის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი დროის ყველა რევოლუციური მოვლენა, რომლებმაც ახალი ეპოქა დაიწყეს თანამედროვე ისტორიაში. მოახმარა რა მთელი სიცოცხლე ჩაგრული ხალხის მასების განთავისუფლების საქმისათვის კეთილშობილურ ბრძოლას, მან შექმნა დიადი რევოლუციური მოძღვრება, რომელსაც წარუვალი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, განუცხადა საქდესის კორესპონდენტს ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ანჯელა დევისმა.

ვ. ი. ლენინმა განავითარა მეცნიერული კომუნიზმის თეორია. მისი ხელმძღვანელობით იგი პრაქტიკულად განხორციელდა.

ჩემთვის, როგორც შავკანიანი ამერიკელისათვის, თქვა ა. დევისმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის მოძღვრებას ეროვნულ საკითხში პოლიტიკის შესახებ.

პროლეტარიატის გამოჩენილმა ტაქტიკოსმა და სტრატეგმა ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ შეიძლება გამოვიყენოთ მშვიდობიანი საშუალებანი, მათ შორის არჩევნები და ბურჟუაზიულ პარლამენტებში მონაწილეობა, საკუთარი უფლებებისათვის მშრომელთა ბრძოლა. მის მიერ შექმნილი ბოლშევიკთა პარტიის გამოცდილებისამებრ ამერიკელმა კომუნისტებმა დაასახელეს თავიანთი კანდიდატები ქვეყანაში პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინმა, თქვა ა. დევისმა, შეიმუშავა სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის თეორია, რომელიც კაცობრიობას უსახავს მშვიდობის იმედს, ურომლისოდაც შეუძლებელია უმნიშვნელოვანესი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა. მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური თეორია, მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ახლა, როცა მსოფლიოში მიმდინარე რევოლუციური პროცესები, პოზიტიური ცვლილებები იმპერიალისტური რეაქციის გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს.

რევოლუციურ ხელისუფალთა ღონისძიებანი

თეირანი, 18 მარტი. აიათოლა ხომეინიმ გამოსცა ბრძანებულება სპეციალური უწყების შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა იზრუნოს ირანის რევოლუციის ვეტერანებისა და მათი ოჯახებისათვის. რევოლუციამ ირანში, ნათქვამია ბრძანებულებაში, გაიმარჯვა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა თავდადებული ბრძოლის მეოხებით. ბევრმა მებრძოლმა სიცოცხლე შესწირა რევოლუციის გამარჯვებას, ზოგი მძიმედ დაიჭრა და დაინვალიდდა. ბრძანებულებაში ამასთან დაკავშირებით ხაზგასმულია, რომ საჭიროა მაქსიმალურად იზრუნონ რევოლუციის ვეტერანებისათვის, მათ უნდა შეუქმნან ხელშემწყობი პირობები ცხოვრებისა და შრომისათვის, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სამედიცინო მომსახურებით, უპირატესობა მიენიჭოთ სამუშაოზე და უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დროს, მიეცეთ შეღავათები ტრანსპორტით მგზავრობისას.

ირანის პრეზიდენტმა ბანისადრმა, რომელიც ამავე დროს ირანის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც არის, განაცხადა, რომ საჭიროა ქვეყნის შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია. კონტრრევოლუციის შეთქმულებად შეფასდება არმიაში წამქეზებლური ხასიათის ყოველგვარი მოქმედება, რომლის მიზანი იქნება ხელი შეუშალოს შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას, თქვა მან. ირანის სამხედრო მოსამსახურეებისადმი ბანისადრის წერილში აღნიშნულია, რომ არმიიდან დათხოვნილ პირადს შემადგენლობას არა აქვს უფლება მივიდეს ჯარის ნაწილების განლაგებაში. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, ხაზგასმულია მიმართვაში, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ყოველი თავყრილობა ქუჩებში ეწინააღმდეგება მთავარსარდლის ბრძანებებს და ეწყობა შეთქმულების მიზნით. მხედრული დისციპლინისა და წესრიგის დამრღვევთა მიმართ მიღებული იქნება სასჯელის უმკაცრესი ზომები.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო უარყოფს

ჰანოი, 18 მარტი. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ, როგორც უხეშად შეკოწიწებული ნაყალბევი, უარყო ტაილანდის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელთა განცხადება იმის შესახებ, თითქოს ვიეტნამის შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ ტაილანდის ტერიტორიაზე და აწარმოებდნენ ბრძოლებს ტაილანდის ჯარებთან.

ეს მონაჭორები, ხაზგასმულია ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს განცხადებაში, ხელს უწყობს იმპერიალისტთა, პეკინელ ექსპანსიონისტთა და ჰეგემონისტთა, სხვა იმ რეაქციული ძალების ინტერესებს, რომლებიც ცდილობენ შექმნან დაძაბულობა ტაილანდ-კამპუჩიის საზღვარზე, შეიტანონ განხეთქილება ტაილანდსა და ვიეტნამს შორის, ძირი გამოუთხარონ მშვიდობასა და სტაბილურობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ჯაშუშობის ახალი ფაქტები

ჯორჯთაუნი, 18 მარტი. იამაიკის საზოგადოებრიობა დიდად აღაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჯაშუშური საქმიანობის გამოვლენილმა ახალმა ფაქტებმა. იამაიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა გამოარკვიეს, რომ ამერიკის საელჩოს შენობის სახურავზე იყო სპეციალური აპარატურა, ზემგრძნობიარე ოპტიკა, რომლის საშუალებით ვაშინგტონის ჯაშუშური უწყება თვალყურს ადევნებდა კინგსტონის ყველა რაიონს. დიპლომატისპასპორტებიანი ამერიკელი მზვერავების განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო მთავრობისა და სახელმწიფო დაწესებულებები, მთავარი პოლიტიკური პარტიების შენობები, კუბის საელჩო, აგრეთვე თავდაცვის ძალების გენერალური შტაბი.

იამაიკის საზოგადოებრიობას არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მოურიდებლად ერევა ქვეყნის შინაურ საქმეებში, უთვალთვალებს თვალსაჩინო სახელმწიფო, პოლიტიკურ, საზოგადო და პროფკავშირულ მოღვაწეებს, სამხედრო ობიექტებს.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იამაიკის ხელისუფლებმა მოსთხოვეს შეწყვიტოს ჯაშუშური საქმიანობა, რომელიც შეუთავსებელია საყოველთაოდ მიღებულ დიპლომატიურ ნორმებთან. იამაიკის მტკიცე პროტესტების გამო შეერთებული შტატების საელჩო იძულებული გახდა განეხორციელებინა იმ აპარატურის დემონტაჟი, რომელსაც დაზვერვის მიზნებისათვის იყენებდა.

მოკლედ
ყოველი მხრიდან
18 მარტი

● **ულან-ბატორი.** ულან-ბატორელთა სამი ათასზე მეტი ოჯახი მიიღებს წელს კომფორტული ბინების გასაღებს ახალ კორპუსებში, რომლებიც მონღოლეთის დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში აშენდა. საბინაო მშენებლობის დაჩქარებული ტემპი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ქვეყნის ეკონომიკის დინამიკური განვითარების დამახასიათებელი თავისებურებაა. ამჟამად არა მარტო ულან-ბატორში, არამედ აგრეთვე მონღოლეთის სხვა დიდ ქალაქებში, ყველა აიმაკისა და სომონის ცენტრებში ფართო ფრონტით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, ჩნდება ახალი საცხოვრებელი უბნები.

● **ლისაბონი.** პორტუგალიის პროგრესული ძალები გამოდიან მთავრობის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ საქმიანობის თავისუფლება მიანიჭოს კერძო ფინანსურ კაპიტალს. ქვეყანაში კერძო ბანკების შექმნა მიზნად ისახავს მონოპოლისტური კაპიტალის აღდგენასა და 1974 წლის აპრილის რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციას.

განცხადებაში, რომელიც ქალაქ პორტუში გაავრცელა პროფკავშირთა ფედერაციამ პორტუგალიაში ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების რაციონალიზაციის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ აგრარულ რეფორმასა და საწარმოებისადმი მუშათა კონტროლის დაწესებასთან ერთად ეროვნული ეკონომიკის წამყვანი დარგების ნაციონალიზაცია პორტუგალიელი ხალხის უმნიშვნელოვანესი რევოლუციური მონაპოვარი გახდა. პორტუგალიის მშრომელნი, ხაზგასმულია დოკუმენტში, მტკიცედ დგანან რევოლუციურ მონაპოვართა სადარაჯოზე, რომლებიც ახლანდელ კაბინეტს სურს ყოველგვარი საშუალებით არარად აქციოს.

● **ალჟირი.** ელ-ხაჯარის მეტალურგიულ კომბინატში მწყობრში ჩადგა პირველი საკოქსე ბატარეა. იგი აგებულია საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით. ბატარეის საექსპლოატაციოდ გადაცემით აღინიშნა ალჟირში მრეწველობის ახალი დარგის — კოქს-ქიმიური მრეწველობის შექმნა.

ავღანეთის ბიუჯეტი

ქაბული, 18 მარტი. ბახთარის სააგენტომ გაავრცელა ოფიციალური ცნობა, რომ ავღანეთის დედაქალაქში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის ბაბრაკ ქარმალის თავმჯდომარეობით გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც მიიღეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის 1359 წლის (1980 წლის მარტი — 1981 წლის მარტი) ბიუჯეტი.

ბიუჯეტი შედგენილია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად. იგი ითვალისწინებს სახელმწიფო შემოსავლის წყაროების მაქსიმალურ მოზიდვას, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ეკონომიკური განვითარებისათვის, სოციალური და კულტურული გარდაქმნებისათვის განკუთვნილი ასიგნებათა გონივრულ გამოყენებას, ხალხის მასების ცხოვრების დონის ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვასა და აპრილის რევოლუციის მონაპოვართა დაცვას.

ხარჯების საერთო თანხა შეადგენს 33 მილიარდ 759 მილიონ 85 ათას ავღანს.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა იმ დახმარების დიდი მნიშვნელობა, რომელსაც მეგობარი საბჭოთა კავშირი უწევს ავღანეთს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების წარმატებით შესრულებაში.

საარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 17 მარტი. შეერთებულ შტატებში ძლიერდება საარჩევნო კამპანია. მორიგი პირველადი არჩევნები, რომელთა დროს მოწმდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატობის პრეტენდენტთა პოპულარობა და ირჩევენ მომავალი პარტიული ყრილობების დელეგატებს, გაიმართა პუერტო-რიკოში — ტერიტორიაზე, რომელიც „თავისუფლად შეუერთდა" ამერიკის შეერთებულ შტატებს. მინიმალური უპირატესობით აქ გამარჯვება მოიპოვა თეთრი სახლის ახლანდელმა მესვეურმა ჯ. კარტერმა, რომელმაც 21 დელეგატის ხმა მიიღო. კარტერის მთავარმა მეტოქემ სენატორმა ე. კენედიმ მიიღო 20 ხმა.

მაგრამ მთავარი საარჩევნო ბატალიები ჯერ კიდევ წინ არის.

ვიწროვდება პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატობის პრეტენდენტთა წრე რესპუბლიკური პარტიის მოღვაწეთა შორის. ჯ. კონელისა და გ. ბეიკერის შემდეგ სენატორმა რ. დოულმა გამოაცხადა, რომ წყვეტს საარჩევნო ბრძოლას. ერთხანს ამერიკის პრესა აღნიშნავდა, რომ თეთრ სახლში ადგილისათვის ბრძოლაში ჩაებმებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რესპუბლიკური პარტიისაგან ჯ. ფორდი, მაგრამ ამ დღეებში მან განაცხადა, რომ მიიღო „საბოლოო გადაწყვეტილება" აღარ ეცადოს რესპუბლიკელთა ყრილობის მიერ თავისი კანდიდატურის დასახელებას. ამასთან ჯ. ფორდმა მკაცრად გააკრიტიკა ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. „ამერიკა სერიოზულ გასაჭირშია, — თქვა მან. — ამერიკას ახალი პრეზიდენტი სჭირდება".

ამრიგად, საპრეზიდენტო „რბოლაში" დემოკრატთა შორის ახლა ჯერჯერობით ლიდერობს კარტერი, რესპუბლიკელთა შორის — წარსულში ჰოლივუდის მსახიობი, შემდეგ კალიფორნიის შტატის გუბერნატორი, პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი რ. რეიგანი.

ტანიუგის სააგენტოს ცნობა

ბელგრადი, 18 მარტი. განვლილი დღე-ღამის მანძილზე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. ბროზ ტიტოს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, უწინარეს ყოვლისა, კუჭში ძლიერი სისხლის დენის შედეგად, ნათქვამია მკურნალი ექიმების კონსილიუმის ცნობაში, რომელიც დღეს გამოსცა ტანიუგის სააგენტომ.

გრძელდება ინტენსიური მკურნალობა.





მსოფლიოს ხალხთა ნების წინააღმდეგ

გამალებული შეიარაღება ეწინააღმდეგება ყველა ხალხის ნებასა და ინტერესებს, მესამე მსოფლიო ომი, თუ დაიწყო, მოსპობას უქადის კაცობრიობას. ამიტომაც არის, რომ პროგრესული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია და გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მილიტარისტულ პოლიტიკას.

ეს სურათებიც ომის გამჩაღებელთა ზრახვებზე მეტყველებენ.

მარცხენა ზედა სურათზე აღბეჭდილია „ფ-15" ავიაგამანადგურებლები, რომლებსაც ამერიკა მიაწვდის ეგვიპტეს, ხოლო მარჯვენა სურათზე — ნატოს სამხედრო გემი იტალიის ნაპირებთან, საიდანაც ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შეიძლება გაშვებულ იქნეს მომაკვდინებელი რაკეტები. მარცხენა ქვედა სურათზე კი ფილიპინებზე მყოფი ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები არიან, რომლებიც სპარსეთის ყურეში გაემგზავრებიან.

საქდესის ფოტო.

უნაყოფო ვოიაჟი

პნომპენი, 18 მარტი (საკდესი). კამპუჩიის დეპეშათა სააგენტო ეხება ქხიეუ სამფანის ამასწინანდელ ვოიაჟს პეკინში და ხაზს უსვამს, რომ კამპუჩიელი ხალხის ამ ჯალათს იქ დიდის ამბით შეხვდნენ. მას აღუთქვეს აგრეთვე მხარდაჭერა კამპუჩიის რევოლუციისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობისათვის ძირის გამოთხრის ცდებში. განსაკუთრებით საინტერესოა საზოგადოებრიობისათვის ის ფაქტი, რომ პეკინში შეხვედრის დროს ხოტბას ასხამდნენ „გაერთიანებულ პატრიოტულ დემოკრატიულ ფრონტს", რომელიც, არსებითად, ჩინეთის პროპაგანდისტულმა მანქანამ წარმოშვა.

ქხიეუ სამფანი პეკინში ჩავიდა იმ მომენტში, როცა კაცობრიობამ ზიზღით შეაქცია ზურგი პოლ პოტს, იენ სარის, ქხიეუ სამფანს — სამი მილიონი კამპუჩიელის მკვლელებს, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით აგრეთვე ცოცხლად გადარჩენილი ოთხი მილიონი თანამემამულის აურაცხელ ტანჯვა-ვაებაში. ამ ვოიაჟის მიზანია პოლ პოტის პოლიტიკური ლეშის გაცოცხლება, რომლის მაგივრობას ამ შემთხვევაში იწევა ქხიეუ სამფანი, რეაქციული ქხმერი ემიგრანტების, მათ შორის სიანუკის დაქსაქსული ბანდების შეკავშირება, რათა განაგრძონ კამპუჩიისადმი მტრული პეკინის პოლიტიკა. პოლ პოტის ქხიეუ სამფანით შეცვლა სრულიადაც არ ცვლის ხალხის მიერ დამხობილი ამ ხროვის მოღალატურ არსს. პოლ პოტმა მიითვისა „მთავარსარდლის" ტიტული, მის ბატონებად კი დარჩნენ იგივე დიდმპყრობელი ჩინელი ექსპანსიონისტები.

ტაილანდის ხელისუფლებთან თანამშრომლობით, ნათქვამია შემდეგ კომენტარში, ამერიკელი იმპერიალისტები და პეკინის მმართველი წრეები ტაილანდში მოკალათებულ პოლპოტელთა ბანდებს აწვდიან იარაღს, ტყვია-წამალსა და სურსათს და ხელს უწყობენ კამპუჩიის ტერიტორიაზე მათ შეჭრას საბოტაჟისა და პროვოკაციების მიზნით. დამხობილი რეჟიმის შელამაზებით პეკინი ცდილობს ჩაერიოს სახალხო კამპუჩიის შინაურ საქმეებში და შეცვალოს იქ არსებული მდგომარეობა. ამაო ცდაა! კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკა, ყველა სიძნელის მიუხედავად, მიდის წინ, ნათქვამია კამპუჩიის სააგენტოს კომენტარში.

უნგრეთის მოსახლეობა

ბუდაპეშტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში 1980 წლის იანვარში მოწყობილი მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ქვეყანაში 10 მილიონ 710 ათასი მცხოვრებია, აქედან დედაქალაქში — 2 მილიონ 60 ათასი, სხვა ქალაქებში — 3 მილიონ 629 ათასი, სოფლად — 5 მილიონ 21 ათასი.

პაკისტანში გადატრიალების ცდის გარშემო

ნიუ-იორკი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, პაკისტანის პრეზიდენტმა ზია-ულ-ხაკმა დღეს აღიარა, რომ ქვეყანაში იყო სახელმწიფო გადატრიალების ცდა. დღემდე პაკისტანის მთავრობა უარყოფდა ყველა ცნობას პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულებისა და გადატრიალების წარუმატებელი ცდის შესახებ, როგორც „აბსურდულსა და ბოროტგანზრახულ ფალსიფიკაციას".

როგორც მანამდე იუწყებოდნენ ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები, პაკისტანში პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულების ეჭვით დაპატიმრებულია არმიის ოფიცერთა ჯგუფი. ყველა ისინი, აღნიშნავდა ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, კრიტიკულად იყვნენ განწყობილი ზია-ულ-ხაკის მიმართ.

ამერიკელთა წრეების დამოწმებით პაკისტანში ავრცელებენ ხმებს, რომ ზია-ულ-ხაკის მონაწილეობის გარეშე მთავრობის შექმნას დადებითად აღიქვამდა ვაშინგტონი. ერთი მხრივ, როგორც ამტკიცებენ, ასეთი ხმების მიზანი იყო პრეზიდენტზე ზეგავლენის მოხდენა მისი განცხადების შემდეგ, რომ უარს ამბობს „ამერიკის დახმარებაზე", მეორე მხრივ, როგორც აღნიშნავენ, ამერიკის შეერთებული შტატები შიშობს, რომ პირობების შეუცვლელად დახმარების გაწევას შეიძლება მოჰყვეს ირანის ამბების განმეორება პაკისტანში.

დღეს პაკისტანის დედაქალაქში გამოსვლისას ზია-ულ-ხაკმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არმიის გენერლები, რომლებსაც გუბერნატორებისა და ფედერალური მინისტრების პოსტები ეკავათ, განთავისუფლებული არიან კორპუსების სარდლების თანამდებობიდან. მათ ნაცვლად დაინიშნენ ახალი სარდლები.

შეეხო რა დაპატიმრებული გადამდგარი გენერალ-მაიორის ტაჯმალა ჰუსეინ მალიქის საქმეს, რომელიც როგორც ვარაუდობენ, მონაწილეობდა შეთქმულებაში, პრეზიდენტმა განაცხადა, „მას კანონის შესაბამისად მოვექცევითო".

დღევანდელი ნომრის სტუმარი

ვალი მამულიშვილისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე ჩემს ვალს ვიხდი მხოლოდ"
მარკუს ავრელიუსი.

თქვენ გიბაასიათ აკაკი გაწერელიასთან? დანტესა და რუსთაველის, პოლ ვალერისა და ბარათაშვილის, ვაჟასა და გალაკტიონის სულისშემძვრელ სიდიადეს გაურინდებიხართ ამ მყუდრო კაბინეტში? ბედნიერებაა!

და როგორ ჰყვება! თითქოს მათთან ერთად დაგატარებდეთ ლიტერატურისა და ხელოვნების უმშვენიერეს ლაბირინთებს.

ოღონდ უნდა მოიცალოს, რაც იშვიათად ხდება. აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ: 1939 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობს საზღვარგარეთის ლიტერატურის კურსს (სპეციალურად საშუალო საუკუნეები და აღორძინების ეპოქა), მისი რედაქციით გამოდის მრავალი სახელმძღვანელო დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორიისა, 1960 წლიდან პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ხელმძღვანელობს საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრას, არის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ლიტერატურათმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელი და მის ხელში გადის ყველა წერილი პოეტიკის საკითხებზე. შრომები, რომლებსაც ა. გაწერელია ამზადებს ხოლმე რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და სხვადასხვა სამეცნიერო კრებულში. იგი ოთხი სამეცნიერო საბჭოს წევრია.

ახლა მწერლობა, საუცხოო პროზაული ნაწარმოებები, ესეები...

და გავიდა სამოცდაათი წელიც.

...წლებს ვერ დაუშრეტია კოლხური სიცხადე.

□

— **ჩვენც აკაკით დავიწყოთ, ბატონო აკაკი. თუ აქვს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა შემოქმედისთვის?**

— ბარათაშვილს რომ სიცოცხლე დასცლოდა, ქართული ლიტერატურის პეიზაჟი სულ სხვანაირი გამოჩნდებოდა, საეჭვო არ არის, რომ ჩვენ შეიძლება მიგვეღო „ევგენი ონეგინის" ან „ფაუსტის" რანგის თხზულება. გენიალური ინგლისელი პოეტი ჯონ კიცი 21 წლისა გარდაიცვალა, ხოლო რამდენია, 60-70 წელს აღწევს და ვერაფერს ქმნის ღირებულს.

ისეთი დიდი ინტელექტის ადამიანს, როგორიც ბარათაშვილი იყო, შეეძლო ღრმა მოხუცებულობამდე ეწერა შედევრები, იგივე ითქმის ჩვენს უკვდავ ვაჟა-ფშაველაზე.

მართალია, დიდი რომაელი პოეტი ოვიდიუსი ამბობდა, „სიყვარულის და ბრძოლის ველი ერთნაირ ასაკს მოითხოვსო", მაგრამ, აბა, მოვიგონოთ გოეთეს განთქმული „მარიენბადის ელეგია" და თევდორე ტიუტჩევის „უკანასკნელი სიყვარული"? ეს ნაწარმოებები რომ შეიქმნა, მათი ავტორები კარგა შეფერთხილები იყვნენ. ასე რომ, მთავარია ნიჭი და ინტელექტი.

□

ორმოცდაათი წლის სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე ა. გაწერელიამ ბევრი რამ ისეთი შექმნა, რაც მანამდე არც ერთი ლიტერატორის კვლევის საგანი არ ყოფილა. მან დიდი ამაგი დასდო ქართული პოეტიკის, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბებას, კერძოდ, ქართული ლექსთწყობის ბუნების გარკვევას, რასაც მიუძღვნა მთელი რიგი წერილები და ბოლოს ვრცელი მონოგრაფია „ქართული კლასიკური ლექსი".

მოღვაწეობის ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია ქართული კლასიკური (V-XIX საუკუნე) და XX საუკუნის დიდი წარმომადგენლების (რუსთაველი, საბა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ვაჟა, დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვ.) შემოქმედების გაანალიზება მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს ა. გაწერელიას ინტერესი ქართული თემატიკისადმი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, რაც აისახა კიდეც ნარკვევებსა და სტატიებში, „ტაციტი, ჰენდელი და საქართველო", „დანტე და პრეისტორიული საქართველო", „ლეონარდო და ვინჩი და სულხან საბა ორბელიანი", „ჯელალ ედდინ რუმი და ქართველი დედოფალი თამარი".

□

— **შარშან ჟურნალმა „ცისკარმა" თქვენი ორი მშვენიერი მოთხრობა დაბეჭდა. ამ ნაწარმოებებს მაღალი შეფასება მისცა ლიტერატურულმა კრიტიკამ. მე მგონია, რომ თქვენ ცოტას მუშაობთ პროზაში.**

— სწორი ბრძანებაა. პროზასა და ესეისტიკაში მართლაც ნელი ტემპით ვმუშაობ. თქვენ ალბათ, უპირველესად ჩემი „შამილი" გაქვთ მხედველობაში. მასზე მუშაობის შეწყვეტას ჰქონდა გარკვეული მიზეზები. თუ მშვიდობა იქნა, ამ ეპოსს უახლოეს ხანში დავამთავრებ.

— **ცხოვრების ქარტეხილებმა თქვენ ბევრ გამოჩენილ მწერალს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს შეგახვედრათ, ახლო მეგობრობაც გქონდათ ზოგიერთთან. ვის მოიგონებთ დღეს?**

— უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელო ჩემი საყვარელი ლექტორი თბილისის უნივერსიტეტში გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი — ბერძნული ლიტერატურის დიდი სპეციალისტი, რამდენჯერმე შინაც ვყოფილვარ მასთან სტუმრად. ჩემი თაობიდან დიდი სიყვარულით ვიგონებ პოეტებს დავით გაჩეჩილაძესა და ვიქტორ გაბესკირიას, რუსი მწერლებიდან — იური ტინიანოვს... აბა, ნახეთ, რა ხალხი იყო... — და ჩემი მასპინძელი სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობის სტენოგრაფიულ ანგარიშს მიწვდის, — 99 კაციდან — პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ალექსანდრე ქუთათელი, დემნა შენგელაია, იონა ვაკელი, კარლო კალაძე და მე დავრჩით.

მოგონება იური ტინიანოვზე:

„ტინიანოვი ორჯერ მივიყვანე საქართველოს მუზეუმში სხვადასხვა განყოფილებათა ექსპონატების დასათვალიერებლად. მას ჩინებულ ახსნა-განმარტებას აძლევდა ქართველი მეცნიერი, უდროოდ გარდაცვლილი ლევან მუსხელიშვილი. როცა მესამე სართულზე ავედით, იქ მას გადაცანი პავლე ინგოროყვა, რომელმაც ტინიანოვს უცნობი მხატვრის მიერ დასურათებული „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი უჩვენა. ერთ მინიატიურაზე სპარსულად მორთულ პერსონაჟს გრაგნილზე ასოები გამოჰყავდა.

— პოემის დამსურათებელი რომ ქართველი მხატვარია, იქიდან ჩანს, რომ მის მიერ დახატული ვითომც მაჰმადიანი ქართველივით მარჯვნიდან მარცხნივ წერს და არა პირიქით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო არაბულად წერის მცოდნისაგან, — განუმარტა სტუმარს ჩვენმა მკვლევარმა. „დამკვირვებელ პალეოგრაფისტს შეეძლო ასეთი რამ შეენიშნა!" — დაასკვნა ი. ტინიანოვმა, როცა მუზეუმიდან გამოვედით".

— **ლიტერატურის გარდა ხელოვნების რომელი დარგი გიზიდავთ?**

— მაგალითად, თეატრი. აღზრდილი ვარ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სპექტაკლებზე. გარდა ამისა, უსაზღვროა ჩემი, როგორც არაპროფესიონალის, სიყვარული მუსიკისადმი, განსაკუთრებით ინსტრუმენტული მუსიკა მიტაცებს (ბახი, ჰაიდნი, შუბერტი), კერძოდ, ბახი შემაყვარა აღმზრდელმა კათოლიკე ბიცოლამ, რომელსაც ათი წლისა დავყავდი ფრანგების ეკლესიაში. იქ ორგანზე მომისმენია ბახის განთქმული „ქორალები". განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პარიზში, ლუვრში ლეონარდოს „ჯოკონდას" ნახვამ.

და საერთოდ, ყველაფერი მიყვარს, რისი წაკითხვის, მოსმენის ან ნახვის შემდეგ ერთხელ მაინც ძლიერ გამბურძგლავს ტანში.

— **ხომ ვერ დაგვისახელებთ თქვენს რამდენიმე საყვარელ ნაწარმოებს დღევანდელი ქართული მწერლობიდან?**

— კონკრეტული ნიმუშების დასახელებისაგან თავს ვიკავებ, თანაც — შორს წაგვიყვანდა. ხოლო დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ მეოცე საუკუნის არც ერთ პერიოდში ქართული პროზა და პოეზია არ ყოფილა ისე მრავალფეროვანი, როგორც 60-იან, 80-იან წლებშია, შეიძლება ისეთი დიდი ლირიკოსი, როგორიც გალაკტიონია, ახლა არა გვყავს, მაგრამ ერთი ან ორი ტალანტის ამარა მაინც არ არის მიტოვებული ეს უბანი, ასევე ითქმის პროზაზე.

— **დრამა?**

— რა გითხრათ ახლა... მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ნიჭიერი დრამატურგი გვყავს, შევთანხმდეთ: დღემდე იდეალად რჩება ჩემთვის ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი" და დავით კლდიაშვილის დრამატურგია.

— **თქვენი ჰობი?**

— ცურვა მიყვარს ბავშვობიდან, ჩვენი სახლი მარტვილში მდინარე აბაშის პირას იდგა. ეტყობა, იქედან გამომყვა ეს სიყვარული. ყოველ წელს ზღვაზე თუ არ წავედი, ცუდად გავხდები.

მთაში მოგზაურობა მიტაცებს, ბევრი მეგობარი მყავს დაღესტანში, ჩეჩნეთში. იქ, სოფელ გიმრაში, სადაც შამილი დაიბადა, ცხოვრობენ შამილის ერთადერთი დის ჩამომავლები, თბილისშიაც მომაკითხავენ ხოლმე ისინი.

გუსტავ ფლობერი ამბობს: „ზოგი თვრება მაგარი სასმელებით, ზოგი გარყვნილებით, მე კი ვთვრები მელნით": მე მაინც კაბინეტის კაცად ვთვლი თავს და მეც მელნით ვთვრები.

— **თქვენ ახალგაზრდების დიდი მეგობარი ხართ, რა უნდა ისწავლონ მათ თქვენგან?**

— ღრმა სიყვარული ისეთი შრომისადმი, რომელიც სამშობლოს სასიკეთოდ გამოადგება, და არასოდეს არ გაეგოთ, „რა ფერისაა სიმხდალე" (შამილის სიტყვებია) და შური.

□

„საინტერესო ხართ და საინტერესოს ჰყვებით", — გზაში ეს სიტყვები ამეკვიატა მურმან ლებანიძის ლექსიდან, რომელიც ა. გაწერელიას, თავის უფროს მეგობარს უძღვნა პოეტმა. არ ვიცი, ეს საინტერესო მონაყოლი როგორ მოგაწოდე, ძვირფასო მკითხველო. მთავარი სხვა რამეა: მხნედ არის კიდევ ერთი რაინდი უფროსი თაობისა, რადგან იცის, რომ შენი სიყვარული არ აკლია და კვლავაც მოუღლელად იხდის მამულიშვილობის ვალს მშობელი ქვეყნის წინაშე.

ვ. მარდალეიშვილი.

ჯილდო შრომას აგვირგვინებს

ლენინის ორდენოსანი სამმართველო „თბილისგვირაბმშენი" საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციაა. ბევრი სახელოვანი საქმე მისი შრომითი კოლექტივის ანგარიშზე. სულ რამდენიმე თვის წინათ თბილისის მეტრომშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს მიწისქვეშა მაგისტრალის მეორე რიგი საბურთალოს მიმართულებით. გაყვანილია გადასარბენი გვირაბების პირველი ათეული მეტრები მეტროს მშენებლობის ახალ უბნებზე — გლდანისა და ვარკეთილის მიმართულებით, სულ უფრო ჩაღდება მუშაობა რიკოთისა და როკის უღელტეხილების ავტოსაგზაო გვირაბების მშენებლობაზე, სხვა დამკვრელურ ობიექტებზე.

მშენებელთა კოლექტივის შთაგონებულ, თავდადებულ შრომას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ. 1979 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოს საბჭოთა კავშირის მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციათა შორის მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და იგი შეიტანეს სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. რამდენიმე დღით ადრე, სანამ ეს სასიხარულო ამბავი მთელ სამმართველოს მოედებოდა, ცნობილი გახდა, რომ თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის მშენებლობის და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს მოპოვებული წარმატებებისათვის კოლექტივის მოწინავე მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, მათ მიანიჭეს სხვადასხვა საპატიო წოდებები. მთავრობის ჯილდოებისა და საპატიო წოდებათა სიგელების გადაცემა გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. დ. ლაშქარაშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ თბილისის გვირაბთმშენებლობის სამმართველოს უფროსს ვ. დ. გოცირიძეს და ამ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კომპლექსური გვირაბგამყვანი ბრიგადის ბრიგადირს ა. ი. დათაშვილს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების სიგელები, აგრეთვე ლენინის ორდენები და ოქროს მედლები „ნამგალი და ურო" დაჯილდოებულებს გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა. გადაცემის დროს ვ. დ. გოცირიძემ და ა. ი. დათაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის. მთელი კოლექტივის სახელით აღუთქვეს, რომ დამკვრელური შრომით უპასუხებენ მთავრობის საპატიო ჯილდოებს, ღირსეულად გაართმევენ თავს ყველა ამოცანას.

მეტრომშენებელთა დიდ ჯგუფს გადაეცა შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის", III ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის", საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, აგრეთვე სიგელები „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის", „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის", „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. პ. გ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ და მათი სახით თბილისის მეტრომშენებელთა მთელ კოლექტივს ახალი დიდი წარმატებანი საქართველოს დედაქალაქის მეტროპოლიტენის ასამუშავებელი ხაზების მშენებლობაში, ახალი შრომითი გამარჯვებები ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების აღსანიშნავად.

ჯილდოების გადაცემას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე.

(საქინფორმი).

ქართველები ირანში

ფერეიდნიდან წიგნი მოვიდა



ჩვენს ხელთ არის ირანის ძველ დედაქალაქ ისპაჰანში სულ ახლახანს სპარსულ ენაზე გამოცემული წიგნი „ქართველები ირანში". ამ დიდი ნაშრომის ავტორია „მაჰმად სეფიანი (სეფიაშვილი). შესავალში ავტორი წერს: „ამ წიგნში ლაპარაკია იმ ქვეყანაზე, რომელიც შავი ზღვის პირად მდებარეობს და თავისმა შესანიშნავმა სტრატეგიულმა და ბუნებრივმა პირობებმა საუკუნეების განმავლობაში დიდი მოვლენების ცენტრში მოაქცია, სისხლიანი დღეებისა და ხოცვა-ჟლეტის ასპარეზი გახადა. ზოგჯერ ისეთი ძლიერი დამპყრობლების, როგორიც იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგისხანი, თემურ-ლენგი და კიდევ სხვანი მრავალნი, ყურადღებას იქცევდა, იმართებოდა დიდი ომები, მაგრამ მაინც გადარჩა. აქ, ამ პატარა მიწაზე ერთმანეთს ეჯახებოდა ოსმალოთა და სპარსთა, ბერძენთა და სხვათა ინტერესები, რაც ძვირად უჯდებოდა ქვეყანას".

შემდეგ ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას. უხვად იყენებს ძველი იტალიელი, ბერძენი, სპარსი და თურქი მოგზაურებისა და ისტორიკოსების ჩანაწერებს, მეტად საინტერესო მასალებს იძლევა ქართველ ხალხზე.

იგი გულისტკივილით ლაპარაკობს მეჩვიდმეტე საუკუნის იმ მძიმე წლებზე, როცა სისხლიანი შაჰ-აბას პირველის განკარგულებით დაიწყო ქართველთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა და ირანში გასახლება. იხსენებს აფრიკაში გავრცელებულ დიდ ნადირობას ზანგ მოსახლეობაზე, როცა მათ მონებად ჰყიდდნენ ამერიკის შავ ბაზარზე და მწარედ შენიშნავს: „ამ ორ დიდ სამარცხვინო აქციას შორის განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ იქ, დასავლეთში ძალმომრეობის მსხვერპლი შავკანიანი გახლდათ, კავკასიაში კი თეთრი ადამიანი".

აქედან იწყება ქართული კოლონიების ისტორია ირანის მიწაზე. ქართველმა კაცმა კვლავ გამართა თავისი კერა ხორასანში და მაზანდარანში, გილანში, ფარსში, აბასაბადში, იზადხასტში, ფერეიდანსა და ხუზისტანში. ფერეიდანში ქართველთა დასახლების ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ქართველებს ირანის საზღვრები უნდა დაეცვათ ბახტიართა განუწყვეტელი შემოსევისაგან.

ქართველები ნელ-ნელა შეერივნენ ირანელებს, დაჰკარგეს ენა და ადათ-წესები, გაქრა ბევრი ჩვენი კოლონია, გადარჩა მხოლოდ ფერეიდანი, სადაც ჩვილი აკვნიდანვე სწავლობს ქართულს და დედის ძუძუდან მძლავრად იწოვს ყველაფერს (მხოლოდ ქართულს და მეტს არაფერს. ფერეიდანში ქართული ენა არ იდევნება. ის კი არადა, აქ მცხოვრებმა სპარსელებმა და ბახტიარებმაც დიდი სიყვარული გამოავლინეს ამ ენისადმი, სიამოვნებით სწავლობენ მას და ზოგიერთი უცხო ტომის ოჯახისათვის იგი მშობლიურად იქცა. წიგნის ამ მონაკვეთში დაბეჭდილია ქართული ანბანი და დათვლის ქართული წესი.

ავტორი ფართოდ მიმოიხილავს ფერეიდნის გეოგრაფიას, ეკონომიკას, კლიმატს, მოსახლეობის საქმიანობას, ზნე-ჩვეულებებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ურბანიზაციის პროცესი ფერეიდანსაც შეეხო. ახლა ბევრი ფერეიდნელი ლუკმაპურის საშოვნელად სოფლიდან მიდის, ქალაქად სახლდება. გაჩნდა ქართველთა დასახლებები ირანის ბევრ ქალაქში, მათ შორის თეირანსა და ისპაჰანში. თეირანში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა „ქართველების პროსპექტი".

შემდეგ ავტორი მიმოიხილავს საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობას. ხაზს უსვამს მის ღრმა ფესვებს. აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართველები სწრაფად წინაურდებოდნენ ირანის სამსახურში. იმათ შორის, ვინც ირანში აღზევდა, უპირველესია ალავერდი ხანი — უნდილაძე, რომელიც ქვეყანაში შაჰის შემდეგ პირველ კაცად იქცა. ალავერდი ხანმა ისპაჰანში მდინარე ზაიანდერუდზე ააშენა ოცდაცამეტკამპრიანი ხიდი, რომელიც დღესაც ემსახურება ისპაჰანელებს. ალავერდი ხანი ირან-თურქეთის გააფთრებულ ომებში შაჰ-აბას პირველის ერთადერთი იმედი იყო. იგი 1626 წელს დაინიშნა ირანის ჯარის უმაღლეს მთავარსარდლად და დიდი რეფორმები განახორციელა, რის შედეგადაც ირანის შეიარაღებული ძალები იმ დროისათვის პირველხარისხოვანი გახდა.

ავტორი მიმოიხილავს აგრეთვე სხვა გამოჩენილი ქართველების — გორგიხანის, ხოსროხანის და სხვათა მოღვაწეობას ირანის შაჰის კარზე, აღნიშნავს ქართველთა დიდ როლს ენჯომინების დროს.

წიგნის ავტორი მაჰმად სეფიანი (სეფიაშვილი), ფერეიდნელი ახალგაზრდა კაცია, დაამთავრა ისპაჰანის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი, ამჟამად მთელ თავის ენერგიას და ცოდნას ახმარს თავის ხალხს — მუშაობს ფერეიდუნ-შაჰრში (ზემო მარტყოფი) პირველი საშუალო სკოლის დირექტორად და ემზადება სამეცნიერო ხარისხის დასაცავად. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მთელ ფერეიდანში განათლების საქმეს სათავეში უდგას ამირან მიქელიანი (მიქელაძე), უმცროსი ძმა ამ წერილის ერთ-ერთი ავტორისა.

ეს წიგნი ერთადერთია, რაც ირანის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყანაში გამოიცა ირანელ ქართველებზე. ავტორს დიდძალი მასალა შეუკრებია, რუდუნებით დაუმუშავებია და წიგნში შეუტანია. ახლა, როცა ირანში დაამხეს შაჰის სისხლიანი რეჟიმი და ხალხი ახალ ცხოვრებას იწყებს, ამ წიგნის გამოსვლა საყურადღებოა. იგი ნათელ წარმოდგენას მისცემს ირანელ ხალხს მეზობელ ქართველებზე.

რევაზ მიქელაძე,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი,
როდამ ჩაჩანიძე,
მწერალი.

წაგებული არავინ დარჩენილა

თანამედროვე ესტრადულ მუსიკის ფესტივალის შედეგები

თბილისში დამთავრდა მუსიკალური „მარათონი". უკან დარჩა 30-ზე მეტი მუსიკალური საათი. მაყურებლის წინაშე წარდგა ჩვენი ქვეყნის 17 ქალაქის 26 ანსამბლი.

კონკურსის შედეგების გამოცხადებისას ჟიურის თავმჯდომარემ, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა ი. საულსკიმ აღნიშნა, რომ ფესტივალზე წაგებული არავინ დარჩენილა. როკ-მუსიკის ქომაგებს — მოყვარულებსა და პროფესიონალებს — პირველად მიეცათ საშუალება ასეთი მასშტაბით გამოსულიყვნენ ერთ სცენაზე.

მთავარი კრიტერიუმები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ჟიური ანსამბლების შეფასებისას, იყო თავისთავადობა, ახალი საინტერესო მუსიკალური იდეები და მათი რეალიზაციის პროფესიული დონე. ჟიურის ეს მოთხოვნები დააკმაყოფილა მხოლოდ ორმა ანსამბლმა: „დროის მანქანამ" (მოსკოვი, ხელმძღვანელი — ა. მაკარევიჩი) და „მაგნეტიკ ბენდმა" (ტალინი, ხელმძღვანელი — გ. გრაპსი). მათ მიენიჭათ ფესტივალის ლაურეატების წოდება და პირველი პრემიები.

მეორე და მესამე პრემიები მიენიჭათ ანსამბლებს: „ავტოგრაფს" (მოსკოვი), „გუნეში" (აშხაბადი), „ლაბირინთი" (ბათუმი), „ტიპ-ტოპი" (რიგა), „ინტეგრალი" (სარატოვი), „დიალოგი" (დონეცკი), „75" (თბილისი).

ფესტივალის დიპლომანტები არიან „სლაიდები" (ტამბოვი), „დრო" (გორკი), „ბლიცი" (თბილისი). ანსამბლ „ბლიცს" (ხელმძღვანელი — ვ. კოჩაროვი) მიენიჭა აგრეთვე „მაყურებლის პრიზი".

საუკეთესო შემსრულებელთა შორის დაასახელეს ოთხი ქართველი მუსიკოსი: მომღერალი ზ. ჩხარტიშვილი („ლაბირინთი"), მ. ფოფხაძე („75") — ბას-გიტარა, ი. კიკვაძე („ხომლი") — სოლო-გიტარა, დ. ჯაფარიძე („75") — კონგო.

მ. ხანანაშვილი,
საქინფორმის კორ.

დედაბრის და ობლის კვერი



დიდი სამამულო ომში გამარჯვების 35-ე წლისთავი

პატარა ვანოს ქვრივი

თებერვალია. ხატიაშვილების ეზოში ეულად მდგარ ფურცელს თოვლის ქუდი მოუხდია, ლილოზე ბეღურა დახტის და საკენკს დაეძებს. სარკმელთან მიმჯდარი „პატარა ვანოს ქვრივი" ორღობეში მიმავალ შვილიშვილს გასცქერის, გზას ულოცავს.

— ბებო, ერთი კვირის სამყოფზე მეტი ფიჩხი და შეშა მოგიმარაგე, ცეცხლი არ გააქრო, არ გაცივდე. პურიც, მარილიცა და შაქარიც საკმაო გაქვს, არ დაზოგო. შაბათს ისევ აქ გავჩნდები და დანარჩენს მაშინ მივხედავ, — ახლაც ასე დაიმშვიდობა შვილიშვილი დედაბერს, ახლაც შუბლზე აკოცა და ქალაქისაკენ მოუსვა.

ბიჭმა ორღობე ჩაათავა, დედაბერი კი ისევ სარკმელთან ზის და ახლა სადღაც შორს, სივრცეში იყურება. რა გაუძლებს ამდენ მოლოდინს. ლამის მთელი ცხოვრებაა ერთთავად გზისკენ უჭირავს თვალი. ჯერ იყო და, შვილებს ელოდა, ახლაა და, შვილიშვილს უნდა ელოდოს. მძიმედ თვლის დღეებს: ორშაბათი... სამშაბათი... ოთხშაბათი... ხუთშაბათი... პარასკევი...

...ორი ბედნიერი და შემდეგ ისევ ხუთი ზლაზვნით მიმავალი დღე.

ზეცისკენ აღაპყრო მავედრებელი თვალი. დედაბერმა, მშვიდობა შესთხოვა ბუნების ძალას.

— არა, ეს ბალღი პაპისა და ბიძების გვარზე ხტის, მათსავით კეთილი და მოსიყვარულეა, — გაიფიქრა მოხუცმა და წამოდგა, ძველ კარადასთან მიფართხატდა, სამკუთხა გაცრეცილ ბარათებს დაუწყო ძებნა. პირველად რომელიც მოხვდა ხელში, ის აიღო, სარკმელთან მიბრუნდა და გაშალა.

„...დედი, ახლა ნაღმტყორცნელების ჯგუფის მეთაური ვარ. ახალი, ძლიერი სისტემის იარაღით ვებრძვით მტერს... მე არა მიჭირს, ეგ არის მხოლოდ, გოგიას და სოსოს დარდი მაქვს. ხელში არ ჩაუვარდეთ ამ ძაღლებს. ისე კი ვფიქრობ, იქნებ ფრონტზე სადმე შევხვდეთ ძმები ერთმანეთს... დედი, პური თუ არ გეყოთ, კოლექტივიდან გამოიტანეთ. ღვინო, ქერი, სიმინდი — ყველაფერი ისე გამოიყენეთ, როგორც დაგჭირდეთ, ჩვენ ნურაფერს დაგვალოდებ. ალბათ მოვახერხებ და სექტემბრისათვის ფულს გამოგიგზავნი. ...ვიცი, ვენახების დარდიც გექნება, არავინ არ იქნება მაგის გამკეთებელი, მაგრამ არა უშავს, ერთი-ორი წელი თავი გაიტანეთ, მერე კი ჩამოვალთ ბიჭები და ყველაფერს მივხედავთ...

ნიკო. 24.5.42 წ.".

ახლა სხვა წერილებიც გადაათვალიერა პატარა ვანოს ქვრივმა. გოგიაც და სოსოც თითქმის იმავეს იწერებოდნენ.

— წივ... წივ... წივ...; — იძახდა ეზოში ბეღურა და ამაოდ დაეძებდა საკენკს.

შეეცოდა ჩიტი დედაბერს, მაგიდაზე პურის ნამცეცები მოხვეტა და პეშვით გადაუყარა. სად იყო და სად არა, სხვა ბეღურებიც ჟივ-ჟივით მიესივნენ ნამცეცებს. დედაბერმა ახლა მთელ ნაჭერს დაავლო ხელი, აივანზე გავიდა და დაპურება დაუწყო დამშეულ ბეღურებს. მათ ცქერაში მოგონებებიც ჩიტებივით აფრთხიალდნენ, წამოიშალნენ. მეუღლე წარმოუდგა თვალწინ. თითქოს ლილოჭრელზე იდგა, სადავით ამლაკი ეჭირა და უღიმოდა. ჩვეულებისამებრ, კოხტად ჩაცმული და ულვაშებაწკეპილი იყო.

„ჰო, ჰო, ზუსტად ეგეთი იყო", ფიქრობს დედაბერი.

ვინ არ იცნობდა ვაქირში პატარა ვანოს. ბილაქნის სასწავლებელდამთავრებული ყმაწვილი კაცი მწიგნობრად და ჩინებულ მომღერლად ითვლებოდა, არც თვითონ კატო იყო უსწავლელი. სიღნაღის წმინდა ნინოს სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა, რომ დაქორწინდნენ. მაშინ ცქრიალა გოგო იყო, „პატარა ვანოს ქვრივი" კი გვიან გახდა, როცა მკათათვის ერთ დღეს მის მარჩენალსა და პატრონს შინ აღარ შემოუტანია სული...

ოთხი ვაჟიშვილი — ოთხი იმედი დარჩა ახალგაზრდა ქვრივს და ისიც ლანდურა ხარივით ცალუღლა შეება ოჯახის ჭაპანს. მაინც არ წაუბორძიკია, ყველაფერს ასწრებდა. მალე უფროსი ბიჭები წამოეშველნენ, ვენახსაც უდგებოდნენ ყურს და მეოთხე, უმცროსი ძმის აღზრდაშიც ეხმარებოდნენ.

გამოხდა ხანი, ის-ის იყო დარდი უნდა განელებოდა ქვრივს, რომ დიდი სამამულო ომიც დაიწყო. პირველად გოგია გაიწვიეს ომში, მერე — ნიკო და სოსო. კვლავ მარტოხელა, უმცროსი შვილის ამარა, დარჩა ქვრივი. სწორედ იმ დღიდან მოყოლებული დაებედა ლოდინი. ომი დამთავრდა, და მაინც ელოდა ბიჭებს, კარგა ხანს ელოდა, მაგრამ ამაოდ. სწორედ მაშინ მიხვდა პატარა ვანოს ქვრივი, რომ ამიერიდან ომიდან შინმოუსვლელი ბიჭების დედა იყო. მართალია, კატო გამონაკლისი არ ყოფილა (იმავე სოფლიდან ომში წასული 544 ვაჟკაციდან 346 არ დაბრუნებულა მამა-პაპისეულ კერას), მაგრამ ზოგჯერ მაინც წამოსცდებოდა ხოლმე წუთისოფლის სამდურავი მეზობლებში: — ქალებო, ერთი დედისთვის სამი შვილის დაკარგვა მაინც მეტისმეტიაო. — წამოსცდებოდა და მეოთხეს, უმცროს შვილს გადაუსვამდა თავზე ხელს — ეგ ერთი იმედიღა დამრჩა ამქვეყნად.

ერთ დღეს სოფლის კაცებს სთხოვა დახმარება. იქვე ეზოში დაღუპული შვილებისათვის სამი საფლავი გააკეთებინა სიმბოლურად. იქ ტიროდა ხოლმე მარტოდმარტო.

ჯანსაღი ამონაყარი

ეს იყო ამ ორი თვის წინათ.

ზამთრის ქვალობაზე ხალვათად ჩაცმულმა ბიჭმა მორიდებით შემოაღო რედაქციის კარი და დახმარება გვთხოვა. ომში დაღუპული ბიძის საფლავის ადგილსამყოფელი ამოუკითხა გაზეთში და გზის გაკვლევა გვთხოვა. გაგვიკვირდა, ნუთუ ამ ყმაწვილი ძმისშვილის გარდა არავინ არ უნდა ჰყოლოდა ცოცხლებში ომში დაღუპულ მებრძოლს — ან ძმა, ან და, ან ცოლ-შვილი.

— ერთადერთი ჭირისუფალი ჩემი ბებოა, მაგრამ იმას მაგოდენა გზისთვის მუხლი აღარ ერჩის, — თქვა რედაქციაში მოსულმა ბიჭმა, — ძმებიც ჰყავდა ბიძაჩემს, მაგრამ ისინიც ომში დაიღუპნენ.

— კი, მაგრამ მამაშენი, ისიც ხომ არ დაღუპულა ომში! — შევეკითხეთ, მაგრამ არაფერი უთქვამს.

დედა სადღაა-თქო, და ბიჭს კვლავ ხმა არ ამოუღია. შევატყვეთ, ცრემლებით ევსებოდა თვალები. ერთი კვირის შემდეგ რომ კვლავ შევხვდით, მხოლოდ მაშინ გვითხრა სათქმელი — მამაჩემს სხვა ოჯახი აქვს და ჩვენთან არ მოდისო. დედაც ცოცხალი მყავს, მაგრამ მე მაინც ბებოსთან ცხოვრება მირჩევნიაო.

ბიჭს დახმარება აღვუთქვით შორეულ მგზავრობაში და ისიც წავიდა. რედაქციიდან მიმავალს თვალი რომ გავაყოლეთ, გული გვეტკინა, ამ პატარა ბიჭმა ერთდროულად გაგვახარა და დაგვამწუხარა კიდეც. საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, გიას მსგავსი ბიჭები ცოტანი როდი არიან. საუბედუროდ იმიტომ, რომ ისინი, იმისდა მიუხედავად ჰყავთ თუ არა მშობლები, მაინც ობლებად ითვლებიან, საბედნიეროდ კი იმიტომ, რომ ჯანსაღი ხის ამონაყრებს ჰგვანან.

იმავე დღეს დავრეკეთ თბილისის იმ სასწავლებელში, სადაც გია სწავლობს და მისი აკადემიური წარმატება ვიკითხეთ, მერე კი, ბიჭის ბედით უფრო მეტად დაინტერესებულნი, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირს ვესტუმრეთ.

ასე მოვხვდით თებერვლის იმ ერთ დღეს პატარა ვანოს ქვრივის ეზო-ყურეში.

მორღვეული თონე

ფრ...რ...რ! — გულის ხეთქვით წამოიშალნენ ბეღურები ჭიშკრის გაჭრიალებაზე და ფურცლის ტოტებზე შეფრინდნენ.

ფიქრებში გართული პატარა ვანოს ქვრივი ჩვენს დანახვაზე სარკმელს მოსცილდა, კარში გამოვიდა და თვალის ამოკითხვით მოგვაჩერდა. სტუმრები რომ ვერ გვიცნო, შეგვეხმიანა — ვინ ბრძანდებითო.

ჩვენი ჩასვლის მიზეზი მოკლედ ავუხსენით და მიპატიჟების შემდეგ აფრაკი ფიცრებით გამართულ კიბეს ავუყევით.

მოზრდილ ოთახში პატარა ღუმელი გიზგიზებს, გარშემო ძველებური ხის ავეჯი დგას. ერთ კომოდზე ერთი გადიდებული სურათი დევს, მეორეზე — სამი. დედაბრის ახსნელადაც ძნელი არ არის მიხვდე, რომ სურათებიდან მისი დაკარგული მეუღლე და შვილები შემოგცქერიან.

— ეს სულ უფროსია, ნიკო — გვიხსნის პატარა ვანოს ქვრივი, — მისგან ალბათ კარგი მწიგნობარი კაცი დადგებოდა, ეს შუათანაა, გოგია, მექანიზატორობას აპირებდა; ესეც ამ სამ ძმაში უმცროსია, სოსო. მფრინავი იყო, დედა ენაცვალოს იმას. — მერე სარკმლის წინ მაღალ ჯირკოზე გადაშლილი სამკუთხა წერილებზე გვიუბნება — ეგეც მაგათებიაო.

გაყვითლებული ბარათების გადაკითხვისას ხაზგასმულმა სტრიქონებმა მიიქცია ყურადღება.

— გიას ხაზგასმულები იქნება, შინ რომ ჩამოდის, სულ ამეებს უტრიალებს. კარგი ბალღია ჩემი გია. ერთი განახათ, როგორ ხატავს, — დედაბერს სითბო იღვრება ხმაში. — ქალაქში წასვლა არ უნდოდა, მაგრამ მე ვურჩიე. უნდა ისწავლოს, სახელიანი კაცი უნდა გამოვიდეს.

კიდევ ბევრი რამ გვითხრა კატო ხატიაშვილმა... ისიც გვიამბო, როგორ გამოიპარა გია ორჯერ დედისეული სახლიდან მასთან და როგორ ირჩია საბოლოოდ ბებიასთან დარჩენა. ლაპარაკობდა მოხუცი და შევატყვეთ, რომ, როგორც პირველად გია იქ, ჩვენთან თბილისში, ისიც რაღაცას არ ამხელდა. ალბათ რცხვენოდა იმ „რაღაცისა", მაგრამ ჩვილმა, ბოლოს მაინც ამოხეთქა გულიდან. ეს ასე მოხდა:

ხატიაშვილების ეზოში რატომღაც თონე ვერ დავინახეთ, თონე, რომელშიც დიდედები ნაფშრუკისაგან კვერს ჩაგვიკრავდნენ ხოლმე და მასში მოგიზგიზე ნაღვერდალი კერის სითბოს გაგვაგრძნობინებდა.

— თონე, შვილო? თონე აღარა გვაქვს, — გვითხრა პატარა ვანოს ქვრივმა და ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჩვენი იქ ყოფნის დროს ცრემლი ჩამოუგორდა დამჭკნარ ღაწვებზე. — ადრე კი გვქონდა, აქვე სახლის გვერდით იყო, მაგრამ უმცროსმა შვილმა, გიას მამამ მოარღვია. სახლის გაფართოება უნდოდა ვითომ და იმიტომ, მაგრამ არც სახლი აუშენებია და... — მოხუცს სათქმელი არ დაუსრულებია, ხმა გაებზარა.

იქვე, პატარა ხევში ახლაც ეყარა თონის ნამსხვრევები.

სწორედ ამან, და კიდევ ხატიაშვილების კარის მეზობლების მიერ მონაყოლმა ზოგიერთმა ამბავმა გვაიძულა ღია ბარათი მოგვეწერა თქვენთვის, პატივცემულო გიას მამავ.

„ალბათ გაგიკვირდებათ, რომ თქვენი სახელი ერთხელაც არ დაგვიცდენია აქამდე. არა, ნუ შეგეშინდებათ, ამას არც ახლა ვაპირებთ, და იცით რატომ? იმიტომ, რომ თქვენი დედისა და შვილის ნებას ვასრულებთ. სწორედ მათ არ გაგვიმეტეს საამისოდ: შვილიაო, — თქვა დედაბერმა; მამააო, — გვითხრა გია ბიჭმა. დიახ, მათი ნებაა, თორემ აქი ერთმანეთსაც ვიცნობთ და გვისაუბრია კიდეც.

ახლაც გვინდა გესაუბროთ, ოღონდ ზოგი რამ ისეთი გითხრათ, რაზეც მაშინ არ გვილაპარაკია.

ნუთუ არ გიკვირთ, როგორ უდგას სული დედათქვენს — ოთხმოცს გადაცილებულ ქალს, რომელმაც ჯერ მეუღლე დაკარგა (თქვენი თქმით, მაშინ 2 წლისა ბრძანდებოდით), შემდეგ კი სამი ვაჟკაცი შვილი, რამ გადაატანინა ამდენი გაჭირვება? არ იცით? მაშინ ომიდან შინმოუსვლელ ძმას მოუსმინეთ: „დედი, ჩემ მაგივრად ჩაიკარი გულში ჩვენი პატარა ძმა... ვინ იცის, იქნებ დავავიწყდით კიდეც ომში წასული ძმები, იქნებ არც კი აგონდება, რომ საერთოდ ძმები ჰყავს. ეგ არაფერი, ომიდან რომ დავბრუნდებით, ხელახლა გავახსენდებით. დედი, მაგას მოუარე, ეხლა პატარაა, მაგრამ ყველაზე გამძლე და შემძლე ვაჟკაცი დადგება, ყველას ამაგს ეგ დაგვიფასებს და, თუ საჭირო გახდა, ძმების მაგივრადაც გაუმასპინძლდება მტერ-მოყვარეს..." ეს ნიკოს მიერ ფრონტიდან გამოგზავნილი წერილია.

ნუთუ აქამდე არ წაგიკითხავთ იგი? გვინდა ვიწამოთ, რომ არ წაგიკითხავთ, თორემ ისეთი რა გჭირთ, თქვენ დალოცვილო, რომ გული არ აგტოკებიათ, ისე რამ გაგაბოროტათ, რომ დედას გაყროდით და ერთოთახიანი ბინისათვის სასამართლოში მისულიყავით.

გიას მამავ, გიას მამავ, რაღაც არ ბრძანდებით მართალი. სხვას თავი დავანებოთ, მაგრამ იცით თუ არა, რომ დედათქვენისა და თქვენი ბიჭის ყოველთვიური შემოსავალი 73 მანეთია (28 მანეთი დედაბრის პენსიაა, 30 მანეთი — თქვენი შვილის სტიპენდია, 15 მანეთი კი ალიმენტი, რომელსაც კიდევ ორ თვეს გადაუხდით გიას), იცით თუ არა, რომ იმ მამაპაპისეულ ვენახს, ძმები რომ ფრონტის ხაზზეც არ ივიწყებდნენ, რომელიღაც თანასოფლელი ამუშავებს და წლიწადში მხოლოდ 30 თუმანს თუ მიუგდებს ხოლმე ქვრივ-ობოლს (თუმცა დედათქვენი ამითაც კმაყოფილია)?

სოფელი სადღაა? კი, ეხმარება სოფელი ოჯახს — კომუნალური გადასახადისაგან გაათავისუფლეს, ამას წინათ მონგრეულ აივანს ერთი მხრიდან ფიცრები ააკრეს და ღარაბები შეაკეთეს. საკმარისია რამე წამოსტკივდეს დედაბერს, რომ სიღნაღის რაიონულ საავადმყოფოშიც ზრუნვას არ აკლებენ, — მაგრამ შვილის მაგივრობას როგორ გაუწევს!

აი, ასეა, უცხო კაცი გიამბობთ თქვენი მშობლისა და შვილის გაჭირვებას და მათდამი თქვენ მიერ მიყენებულ იარებს გახსენებთ.— რომელ იარებსაო? — რომელი ერთი გაგახსენოთ, ბევრი რამის თქმა გვინდოდა კიდევ და ვერც შეგვედავებოდით, მაგრამ მაინც ვერ გაგიმეტეთ. რაც უნდა იყოს, ადამიანი ბრძანდებით, და არც ჩვენ ვართ ჯალათები, რომ სული გიწამოთ. ესეც არ იყოს, სადღაც მაინც ბჟუტავს იმედი, ვინძლო ისევ მოყვარულად გაიხედოთ მამაპაპისეული სახლისაკენ, ბალავარ-გოდლედი გაუმაგროთ მას და გია ბიჭსაც აგრძნობინოთ მამობრივი სითბო. მისი კვერიც ხომ უნდა გამოცხვეს.

ახლაც თვალწინ გვიდგას დედათქვენი. რომ ვემშვიდობებოდით, მუდარით დაგვიდევნა უკან და სიჩქარეში ცალ ფეხზე ფლოსტიც კი წასძვრა; — შვილებო, თქვენ მზეს დავიფიცავ, ოღონდ გიას დაეხმარეთ, ოღონდაც ნიკოს საფლავი აჩვენეთო.

რა თქმა უნდა, დავეხმარებით. სანამ ეს ნარკვევი დაიბეჭდებოდა, მას რედაქციის მთელი კოლექტივი გაეცნო, გაეცნო და გულთან ახლოს მიიტანა ბებიისა და შვილიშვილის მდგომარეობა, უფრო მეტიც — გადაწყვიტა ყურადღება არ მოაკლოს ხატიაშვილების კერას და გია ბიჭიც თავის სიახლოვეს ყავდეს, გზა გაუკვლიოს ცხოვრებაში.

ახლო მომავალში, როგორც კი გიას სწავლისაგან თავისუფალი დრო გამოუჩნდება, რედაქციის ერთ-ერთი მუშაკი მას აუცილებლად გაყვება ბიძის საფლავის სანახავად. ორიოლის ოლქის სოფელ ჩერნიში გია სოფლიდან წაღებულ მიწას დააყრის ომში დაღუპული ბიძის საფლავს, იქიდან წამოღებულ მიწას კი პეშვით ჩაუყრის ეზოში საყვარელ ბებიას. იმ დღეს სოფლის დახმარებით პატარა ვანოს მინავლებულ კერაზე კარგა ხნის შემდეგ კვლავ აგიზგიზდება ცეცხლი, დადგება დრო, და კვლავ გაიშლება სამხიარულო ტაბლა, მაგრამ ჩვენ ის გვაწუხებს, თქვენ სად იქნებით მაშინ, გიას მამავ, იმ ზეიმში თუ მაინც მიიღებთ მონაწილეობას".

გ. ქოქიაშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ოლიმპიადის მთავარი დირიჟორი

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ოდისეი დიმიტრიადის სახელი ფართოდაა ცნობილი მუსიკალურ სამყაროში. იგი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს, იყო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მთავარი დირიჟორი, ხოლო შემდეგ რვა წლის განმავლობაში მუშაობდა სსრ კავშირის დიდ თეატრში. დირიჟორის რეპერტუარშია 50 ოპერა, იგი დირიჟორობდა 6 ათას სპექტაკლსა და კონცერტს. ახლა ო. დიმიტრიადი თბილისის კონსერვატორიაში სადირიჟორო კლასის ხელმძღვანელია.

წელს სახელგანთქმულმა დირიჟორმა უნდა გახსნას ოლიმპიური ასპარეზობის ცერემონია მოსკოვში. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი მიწვეულია ოლიმპიადა-80-ის მთავარ დირიჟორად. მისი ხელმძღვანელობით ქვეყნის მთავარ სტადიონზე გამოვლენ სიმფონიური ორკესტრი და სახტელერადიოს გუნდი, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ფოლკლორული ანსამბლები, დიდი თეატრის საბალეტო ჯგუფი და სხვა კოლექტივები.

...ოდისეი დიმიტრიადი ყოველ დღეს იწყებს გამამხნევებელი ვარჯიშით, ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ფეხბურთით, ახლა კი ცურვა და ჭადრაკი იზიდავს. ჰარმონია უდევს საფუძვლად მუსიკასაც და სპორტსაც — ამბობს ოლიმპიადა-80-ის მთავარი დირიჟორი.







სურათებზე: ოდისეი დიმიტრიადი რეპეტიციის დროს.

მ. დათიკაშვილის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა, სპეციალურად „კომუნისტისათვის").

ყაბახი

პრეტენდენტთა მატჩებზე

კისლოვოდსკში

მერვე პარტიაში მეტოქეთა ამოცანები სულ სხვადასხვა იყო. შავებით მოთამაშე ალექსანდრიას სავსებით აძლევდა ხელს ყაიმი, მაშინ როდესაც ახმილოვსკაიას მხოლოდ მოგებისათვის უნდა ეზრუნა. ამან განაპირობა დებიუტის არჩევანი — კრასნოიარსკელმა მიმართა რეტის დებიუტს, რომელსაც რთული პოზიციებისაკენ მივყავართ.

უნდა ითქვას, რომ ახმილოვსკაიამ ამ დასაწყისით ვერ შეძლო მეტოქის გაოცება — ალექსანდრია სადებიუტო ერუდიციით უდავოდ აღემატება მას: თბილისელმა მიმართა ელასტიკურ სქემას, რომლის შემდეგ თეთრებს, მართალია, ორი კუს უპირატესობა რჩებათ, მაგრამ შავებით სწრაფად ამთავრებენ ფიგურების განვითარებას და ემზადებიან შუა თამაშში რთული ბრძოლისათვის. რახან თავიდანვე უპირატესობას ვერ მიაღწია, ახმილოვსკაიამ მეტად გაბედული ოპერაცია წამოიწყო — იგი არ მოერიდა საკუთარი მეფის საფარის დასუსტებას და პაიკები დაძრა წინ. მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. ახმილოვსკაიამ დათმო ორი კუს უპირატესობა და შეეცადა მეფის ფრთაზე მუქარის შექმნას. შემდეგ მან ზედიზედ შესწირა პაიკი და ეტლი. ალექსანდრია შეფერხდა და უარეს პოზიციაში აღმოჩნდა.

პარტიის დასკვნითი ნაწილი ორმხრივ ცაიტნოტში მიმდინარეობდა. აქ ახმილოვსკაიამ ვერ გამოიყენა ყველა თავისი შესაძლებლობა. მართალია, მან მატერიალური წონასწორობა აღადგინა, მაგრამ ალექსანდრიას ფიგურები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ.

პარტია გადაიდო მწვავე პოზიციაში. ალექსანდრიამ ჩაიწერა თავისი 41-ე სვლა.

ახმილოვსკაია — ალექსანდრია

მერვე პარტია



ამ პოზიციაში ახმილოვსკაიამ წამოიწყო ძლიერი შეტევა: 31. f5 ef 32. ე:b5 ეce7 33. მf3 კ:e3 34. ე:f8+ ე:f8 35. მh4 კg5 36. მg6+ მფg8 37. მ:f8 მფ:f8 38. e6 ლe3 39. ლ:e3 კ:e3 40. ე:d5 b6 41. მფg2 პარტია აქ გადაიდო.

ფელდენში

პეტროსიან-კორჩნოის მატჩზე დამთავრდა მეოთხე და მეხუთე გადადებული პარტიები. მეოთხე პარტია ყაიმით დასრულდა, ხოლო მეხუთე მოიგო კორჩნოიმ, რომელიც დაწინაურდა — 3:2.

მეექვსე პარტია გადატანილია. მეორე „ტაიმ-აუტი" აიღო პეტროსიანმა.

ბად-ლაუტერბერგში

ჰიუბნერ-ადორიანის მატჩის მეორე პარტია არ გამართულა. უნგრელმა დიდოსტატმა გამოიყენა ტაიმ-აუტის უფლება.

უკანასკნელ საათს

კისლოვოდსკში გუშინ ახმილოვსკაიამ და ალექსანდრიამ დაამთავრეს მერვე გადადებული პარტია. 67-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 5:3 ალექსანდრიას სასარგებლოდ. დღეს მეცხრე პარტიაა დანიშნული. ალექსანდრიას ყაიმიც ყოფნის მატჩის მოსაგებად.

გ. გამრეკელი.

30 მარტს თბილისში

18 მარტს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩების წილისყრა. მან დაასახელა აგრეთვე მეტოქეთა წყვილები: მოსკოვის „სპარტაკი" უმასპინძლებს ერევნის „არარატს", თბილისის „დინამო" — ტაშკენტის „ფახთაქორს", კიევის „დინამო" — მოსკოვის „დინამოს", დონეცკის „შახტიორი" ხვდება მოსკოვის „ტორპედოს" და ვორონეჟის „ფაკელს" შორის მერვედფინალურ მატჩში გამარჯვებულს.

ყველა შეხვედრა 30 მარტს გაიმართება და ამინდის პირობების მიუხედავად ღია სტადიონებზე უნდა მოეწყოს.

ბულგარელებთან ითამაშებენ

26 მარტს მოეწყობა ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩები. შეხვედრაში მონაწილეობისათვის თბილისის „დინამოდან" (I და II გუნდები) მიწვეული არიან ო. გაბელია, თ. სულაქველიძე, თ. კოსტავა, ა. ჩივაძე, გ. ჭილაია, ვ. დარასელია და რ. ჩელებაძე. ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს რ. შენგელია და ნ. კაკილაშვილი.

გამარჯვებით ბრუნდებიან

ლვოვში დამთავრდა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. პირად ასპარეზობაში პირველობა მოიპოვეს ვ. ცხოვრებაძემ (70 კგ) და ლ. ხაზელოვმა (81 კგ).

ორი რეკორდი

აშხაბადში უძლიერეს მშვილდოსანთა საკავშირო შეჯიბრებაზე ჩიტელმა ვლადიმერ ეშეევმა სსრ კავშირის ორი ახალი რეკორდი დაამყარა. მან ჯერ 90 მეტრზე სროლაში გააუმჯობესა რეკორდი (317 ქულა), შემდეგ კი ოთხი დისტანციის (90, 70, 50 და 30 მეტრი) ჯამით (1316 ქულა). ეშეევი შეჯიბრების ლიდერია. ქალთა შორის დაწინაურდა ტაშკენტელი ნატალია ბუტუზოვა (1301 ქულა).

ტელევიზია

19 მარტი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 17.25 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა (ფ.), 18.30 — მოსწავლეთათვის — „მუსიკა და ბავშვები" (ფ.), 19.15 „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს" (ფ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" (ფ.), 20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.40 — „ამღერებული ლექსი" — პეტრე გრუზინსკი (განმეორებით. ფ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — კინონარკვევი, 22.45 — ახალი ამბები (ფ.), 23.00 — ფეხბურთი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე: საფრანგეთის „ნანტი" — მოსკოვის „დინამო". ტრანსლაცია საფრანგეთიდან.

მეორე პროგრამით: 15.15 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ჩიპი", „არლიანი", 16.00 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — კინონარკვევი, 17.00 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 17.45 — „საესტრადო პანორამა" (ფ.), 18.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაგაცნება". 18.35 — მხატვრული ფილმი „შეგვეძლოს „არას" თქმა". (ფ.).

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია", 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — მულტფილმები, 10.30 — „სერიოჟა", მხატვრული ფილმი, 11.45 — კინომოგზაურობის კლუბი. დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — დოკუმენტური ფილმები, 16.40 — მასწავლებლისათვის — მუსიკის გაკვეთილი, 17.45 — ჭადრაკის სკოლა, 18.15 — გამოგვეხმაურეთ, ჰორნისტებო!, 18.45 — ა. ს. პუშკინის სახლ-მუზეუმი მოიკაზე, 19.45 — დღის მსოფლიოში, 20.00 — სოფელი: საქმეები და პრობლემები, 20.30 — უკრავს გიტარისტი ა. ფრაუჩი. 20.50 — „ანტარქტიკული მოთხრობა". მხატვრული ტელეფილმი. პირველი სერია, 22.00 — „ვრემია", 22.35 — სიმღერები სპორტზე, 23.00 — თასის მფლობელთა თასზე ფეხბურთში. საფრანგეთის „ნანტი" — მოსკოვის „დინამო". შესვენების დროს (23.45) — დღის მსოფლიოში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — სოფლის საათი. „მოწინავე გამოცდილება საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა". ლვოვის ოლქის მეურნეობებში ხორცისა და რძის წარმოების ნაკადურ-სამრეწველო სისტემის შესახებ, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.15 — ჩვენი მიმოხილვა, 22.00 — ლ. ბეთჰოვენი — მეოთხე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 22.40 — „ცეცხლოვანი ვერსები". მხატვრული ფილმი.

19 მარტი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კონცერტი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შთამომავლობა; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიყვარულის მგოსანი ვარ; მეტეხის თეატრი — ბარეთ, კარის წინ;

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ენის ცნობილი მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აკაკი ალექსის ძე
დავითიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
380096, თბილისი-96,
ლენინის ქ. 14.

რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:
მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობის სტამბა,
380096, თბილისი-96,
ლენინის ქ. 14.
✦
იბეჭდება ოფსეტური
წესით საგაზეთო
კორპუსში. ხოშარაულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02105
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20